# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 22 თებერვალი, 2012 წელი.

№35 (6912)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## დაფუძნდა პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“ ②




## გარემოცვაზე ისეთმა უნდა ისაუბროს, ვისაც ყველაზე სანდოდ ეროსი კიწმარიშვილი არ მიაჩნია ⑤

## ნაღირობა კედამგომებზე ⑥



## „ღმერთებს“ სწყურიათ... ③



## რუსეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში ⑧

## მორიგი შეტაკება გაზის ომში ④

## ფესვებს მოწყვეტილნი ④





# უნდა გავერთიანდეთ სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ!

## დაფუძნდა პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“

**რაც არ უნდა კრიტიკული განწყობა გქონდეს ადამიანს, მართლაც „ბნელეთის მოციქული“ და „არამზადა“ უნდა იყო, რომ პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ საღა, ეროვნული, ღრმად გააზრებული და ასჯერ გაზომილი ნაბიჯები ვერ დაინახო.**

მართალია, ეს ჯერ მხოლოდ პოლიტიკური ნაბიჯებია, ჯერ მხოლოდ ლაპარაკია, მაგრამ მოძრაობის დამფუძნებლის ბიძინა ივანიშვილის განვლილ გზას, მოთმენის ნიჭს, სიმშვიდეს, გულქართლობას და ფინანსურ შესაძლებლობებს თუ გავითვალისწინებთ, გულწრფელად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბედკრული და დაფლეთილი საქართველო, ბოლო წლებში აბუჩად აგდებული და გაუბედურებული ქართველი ხალხი გადარჩება და 2012 წლის ბოლოს ქვეყნის რეალური (და არა მოჩვენებითი) აღმშენებლობა დაიწყება.

სულ მალე კი, მარტის ბოლომდე, პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ საბოლოო ჩამოყალიბების პროცესი დამთავრდება, ლამაზი გაზაფხულიც დადგება და ერთმმართველი, მოძალადე ნაციონალური მოძრაობის საპირწონე გუნდი ქართველ ხალხს კარს მომდგარ საპარლამენტო არჩევნების მოსაგებად დარაზმავს!

ეს ყოველი გონიერი ქართველის ოცნებაა...

გუშინ სასტუმრო „ივერიაში“ („რედისონ ბლუ ივერია“) კოალიცია „ქართული ოცნება“ დაფუძნდა. პრეზენტაციაზე ჟურნალისტებს და მოწვეულ სტუმრებს ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გაგვაცნო ვრცელი და, ჩემი აზრით, ერთობ შთამბეჭდავი დეკლარაცია.

ტექსტი მოგვყავს მთლიანად.

### პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ სადამფუძნებლო დეკლარაცია

ჩვენი ქვეყნისთვის 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები მნიშვნელოვანი გზაგასაყარია – ამ არჩევნების შემდეგ საქართველოში რეალურად უნდა დაიწყოს მრავალპარტიული დემოკრატიის დამკვიდრება. ეს არის არჩევანი თავისუფლებასა და დიქტატს, სამართლიანობასა და უსამართლობას, ევროატლანტიკურ ინტეგრაციასა და საერთაშორისო იზოლაციას შორის. საქართველოს გადარჩენისა და თანამედროვე სახელმწიფოდ დამკვიდრებისთვის აუცილებელია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქართველი ხალხის გამარჯვება პოლიტიკურად და მორალურად გაკოტრებულ მმართველ რეჟიმზე, რომელიც დღეს მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნებისთვის იბრძვის. სწორედ ამ გამარჯვების უზრუნველსაყოფად შეიქმნა პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“. კოალიცია აერთიანებს იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც გაერთიანებული არიან თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპების საფუძველზე და გამოხატავენ საზოგადოების უმრავლესობის მიზნებს.

**არჩევნებში ხალხის თავისუფალი ნების გამოვლენის გზით ხელისუფლებაში მოსული „ქართული ოცნება“:**

**1. დაასრულებს ავტორიტარულ მმართველობას და პოლიტიკურ მესიანიზმს საქართველოში, რისთვისაც განავითარებს ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ ინსტიტუტებს, დაძლევს სამოქალაქო დაპირისპირების მემკვიდრეობას და განამტკიცებს ეროვნულ თანხმობას;**

**2. დაამკვიდრებს სახელმწიფო ორგანოთა დაბალანსებულ და გაწონასწორებულ მოდელს, რეალურ თვითმმართველობას და მრავალპარტიულ პოლიტიკურ სისტემას, რისთვისაც ხალხის აქტიური მონაწილეობით განახორციელებს კონსტიტუციურ რეფორმას;**

**3. უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხოებას და რეგიონული პოზიციების გამყარებას, რისთვისაც გააღრმავებს ევროკავშირსა და ნატოსთან ინტეგრაციას და მონაწილეობას მიიღებს რეგიონული მასშტაბის ეკონომიკურ და სამშვიდობო პროცესებში;**

**4. დაიწყებს და შეუქცევადს გახდის ქვეყნის გამთლიანების პროცესს, რისთვისაც მოძებნის დიალოგის გზებს აფხაზებთან და ოსებთან, საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით მიაღწევს კონკრეტულ შედეგებს რუსეთთან მოლაპარაკებებში;**

**5. დაამკვიდრებს საარჩევნო დემოკრატიას, ხელისუფლების ანგარიშვალდებულებისა და არჩევნების გზით შეცვლის ტრადიციას, რისთვისაც გააძლიერებს ოპოზიციის როლს ქვეყნის მართვაში, დაიცავს მედიის თავისუფლებას და წაახალისებს სამოქალაქო ინიციატივებს;**

**6. უზრუნველყოფს მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების ხელშეუხებლობას, დანაშაულისათვის სასჯელის გარდაუვალობას და პოლიტიკური ნიშნით დევნის დაუშვებლობას, რისთვისაც დაამკვიდრებს კანონის უზენაესობას, გაათავისუფლებს სასამართლოს და სამართალდამცავ ორგანოებს პოლიტიკური ზეწოლისგან;**

**7. არ დაუშვებს ხელისუფლებაში მყოფი პარტიის შერწყმას სახელმწიფო ინსტიტუტებთან, რისთვისაც გაათავისუფლებს საჯარო სამსახურებს მმართველი ძალის წნეხისგან და გამიჯნავს მათ პარტიული ინტერესისგან;**

**8. დაძლევს უმუშევრობას და სიღარიბეს, შეუქმნის უნარიან და მშრომელ მოქალაქეებს სიმდიდრისა და კეთილდღეობის პირობებს, რისთვისაც განავითარებს წვრილ და საშუალო ბიზნესს და სოფლის მეურნეობას, დაიცავს კერძო საკუთრებას და შრომით უფლებებს, უზრუნველყოფს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის ინტეგრირებას;**

**9. დანერგავს ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლებისა და ჯანდაცვის სისტემებს, რისთვისაც განახორციელებს საქართველოს თითოეულ მოქალაქეზე ორიენტირებულ, გააზრებულ რეფორმებს;**

**10. შეუქმნის შრომისუუნარო მოქალაქეებს ცხოვრების ღირსეულ პირობებს, რისთვისაც დაამკვიდრებს უსაფრთხო სოციალურ გარემოსა და განავითარებს სოციალური სოლიდარობის სისტემას;**

**11. ხელს შეუწყობს საქართველოს მოქალაქეთა მრავალფეროვანი ერთობის - საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას, რისთვისაც დაიცავს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებებს და ხელს შეუწყობს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მათ ინტეგრირებას;**

**12. იზრუნებს ქვეყნის ეროვნულ-კულტურულ მემკვიდრეობაზე და ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო და სოციალურ-ეკონომიკურ მოდერნიზაციას, რითაც დაძლევს, ერთი მხრივ, ბრმა მიმბაძველობის, ხოლო, მეორე მხრივ, ფსევდოპატრიოტული კარჩაკეტილობის ტენდენციებს.**

**ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის!**
**ჩვენ გავიმარჯვებთ არჩევნებში!**

* * *

პოლიტიკური კოალიციის კურთხევა-პრეზენტაციაზე სიტყვებით გამოვიდნენ კოალიციაში შემავალი პარტიების ლიდერები ირაკლი ალასანია („თავისუფალი დემოკრატები“), დავით უსუფაშვილი (საქართველოს რესპუბლიკური პარტია), კახა შარტავა (ეროვნული ფორუმი).

ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს ახალი წევრები დაასახელა: ზვიად ძიძიგური, დავით ბერძენიშვილი, ალექსი პეტრიაშვილი, ნოდარ ხადური.

პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ ბიძინა ივანიშვილი უხელმძღვანელებს, პოლიტიკური საბჭოს აღმასრულებელი მდივანი კი ნოდარ ხადური იქნება.

**სპარტაკ ქოზულია**

### ინფორმაცია

#### კარლო კოპალიანი ცაგერში პრეზიდენტის სტუმრობას გამოეხმაურა

**ცაგერის მაჟორიტარი დეპუტატის კარლო კოპალიანის განცხადებით, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ცაგერში სტუმრობით, “ნაციონალური მოძრაობა“ დაასამარა.**

**როგორც კოპალიანმა გუშინ პარლამენტში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, პრეზიდენტი ლეჩხუმში 2006 წელსაც იყო და ათასგვარი დაპირებები გასცა, რამდენიმე დღის წინათ ცაგერში სტუმრობისას კი, შეუსრულებელი დაპირებების მაგივრად, მხოლოდ გაბრწყინებულ საქართველოზე ისაუბრა.**

**კოპალიანის ინფორმაციითვე, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ცაგერში სამი თვის წინ გახსნილი საავადმყოფო ახლაც ზარ-ზეიმით გახსნა.**

**— პრეზიდენტი შვეიცარიის მსგავს ქვეყანაზე ესაუბრა გლეხებს, რომლებსაც უფილტრო სიგარეტის ფულიც კი არ უდევთ ჯიბეში და სახლში მხოლოდ ცივი მჭადი ელოდებათ. 500-მდე დამეწყრილი ოჯახი კი დღემდე ელოდება შეპირებულ დახმარებას. იმ საავადმყოფოში, რომელიც „აისი ჯგუფმა“ გახსნა, ადგილობრივი მოსახლეობის 80% ვერ შედის, — განაცხადა კოპალიანმა და დასძინა: ადგილობრივებმა კარგად იციან, რომ ყველაფერი, რაც პრეზიდენტმა იქ ისაუბრა, უბრალოდ ტყუილია.**

**კოპალიანის განცხადებითვე, სწორედ ამიტომ იყო შეხვედრა „მდუმარე და ჩუმი“ და არავის დაუკოცნია პრეზიდენტისთვის ხელები და არც არავის უყვირია „მიშა, მიშა“.**

**დეპუტატი ამ გარემოებით ხსნის იმ ფაქტსაც, რომ ეს შეხვედრა ტელევიზიებით, „დიდად არ გაშუქებულა“, რადგან მისი „შელამაზება“, შეუძლებელი იყო.**

#### ვალერი გელბახიანი გირაოთი სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს

**როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი საქალაქო სასამართლოდან იუწყება, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ბადრი შონიამ დაცვის მხარის შუამდგომლობა ვალერი გელბახიანის გირაოთი გათავისუფლებასთან დაკავშირებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა.**



**ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე ითხოვდა 30 000 ლარის ოდენობის გირაოს შეფარდებას, თუმცა მოსამართლემ გირაოს თანხა 50 000 ლარით განსაზღვრა. დაცვის მხარის შუამდგომლობას ბრალდების მხარე არ დაეთანხმა. პროკურორმა განაცხადა, რომ ვალერი გელბახიანი ხელს შეუშლიდა გამოძიებას და არ გამოცხადდებოდა სასამართლოში, თუმცა მოსამართლემ გაითვალისწინა ვალერი გელბახიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასევე ის ფაქტი, რომ გამოცხადდა გამოძიებაში და დააკმაყოფილა დაცვის მოთხოვნა.**

ინტერპრესნიუსი

როცა გარანტიები არ არის

# „ღმერთებს“ სწყურიათ...

თუ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ბოლო ორი თვის სიახლეებს დავაკვირდებით, გამოკვეთილია ორი თვალშისაცემი მოვლენა – პოლითეიზმი და სუპერაბსურდი.

პოლითეიზმი – ანუ მრავალღმერთიანობა ქართული პოლიტიკისათვის უცხო ხილია. ბოლო ოცი წელია ქართული პოლიტიკის „ღმერთები“, როგორც წესი, გარკვეული დროით მაინც, უკონკურენტონი იყვნენ... აი, პოლიდემონიზმი კი ნამდვილად იყო ჩვენში – დრო-და-დრო და ალაგ-ალაგ...

მართალია, საქართველოს ცის კაბადონზე უბადლო მიშას ჯერაც ისევ უკონკურენტო ხატება ზეობს, მაგრამ უკანასკნელ დროს არაერთი ადრე რიგითი მოკვდავიც ღვთიური უფლებებით, რეგალიებით და არნახულ-უსაზღვრო დისკრეციებით აღიჭურვა, და ზეკაცის/ზექალის სუპერნატურალური ნიშნით შეიმოსა. ანუ წარმოჩნდა მეორე დონის ნაციონალური ღმერთების მომრავლება!

მაგალითად, კოზა ხაბაზი, რომელმაც დაჭმუჭნულ ქაღალდზე დაჯღაბნილი ნაწერი ლამის ისევე საკრალური გახადა ნაციონალური მოძრაობისათვის, როგორც მოსეს ქვის ფილებზე ამოტვიფრული ღვთიური ათი მცნება იყო ჯერ ებრაელებისათვის, ხოლო შემდეგ – მთელი საქრისტიანოსათვის. მას მერე სულ ველი, რომ ხაბაზი მოსესავით მიგვატოვებს და სადმე მთაზე განმარტოვდება, მაგრამ, ეტყობა, კიდევ სხვა ნაგლეჯებით უნდა დაგვაჯილდოვოს ჩვენი მაღლისაგან...

მერე ამას მოჰყვა საერთოდ წარმოუდგენელი რამ – ღმერთად გამოცხადდა „საკანონმდებლო მაცნეს“ რედაქტორი! ადამიანი, რომლის სახელი და გვარი არც მანამდე ვიცოდით და არც ახლა ვიცით, აღიჭურვა იმ უფლებით, რომ ჩვენი ერის „სასიქადულო შვილების“ – „ნაციონალური სინდისის“ ტოგის მატარებლების ნააზრევი და ნამოქმედარი, მათ მიერ მრავალთვიანი დებატებით ნაჭირნახულევი კანონები – ანუ ქართველი ხალხის ცხოვრების წესი – თავისი ჭკუით თუ უჭკუობით მიჭრამოჭრას, გადააკეროს და გადააკეთოს! ის, რომ ჩვენი ნაცმოძრაობული კონსტიტუციის ორი დიდი ქურუმის – არათერძ ავთანდილის და დაბალი თენგიზის შემოქმედება ქართული ჩუჩხეს საწყისად გამოცხადდა, ამას შევეგუეთ. თანაც ერთმა ოფისი მიიღო, მეორემ ელჩობა და ეს ჩვეულებრივ მოკვდავურ გარიგებად – „დამიკვეთე – შეგიკერავ, შეგიკერავ – ჩამივერცხლე“-დ ჩაითვალა... ხოლო სრულიად უცნობი და უსახელო რედაქტორის ლამის გააპოლონებამ ძალიან განმაცვიფრა... ნამეტნავად!

ამას დაემატა ჩვენი ახლადგამომცხვარი ათენა პალადა – ნათია მოგელაძე (მოგველანდე!ძ, რომელიც ერთპიროვნულად და ქალღმერთულად უფლებამოსილია, განსაზღვროს, ვინ არის პოლიტიკური პირი ან პოლიტიკური აქტივობის განმახორციელებელი სუბიექტი, ვინ არის ამ პირთან/სუბიექტთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული პირი, მოიძიოს ყველა ამ პირის შესახებ (ყოველგვარი დამატებითი სასამართლო ნებართვის გარეშეძ ნებისმიერი ფინანსური, პოლიტიკური, პირადი, სენსიტიური თუ ჭორიკნულ-რეალტივური ინფორმაცია, თავადვე დაადგინოს, რომელ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს დაუმტკიცდა ამა თუ იმ პოლიტიკურ სუბიექტთან ამა თუ იმ სახის კავშირები, დაბოლოს – თავისი შეხედულებისამებრ – თავადვე აღკვეთოს, შეკვეცოს, შეაჩეროს ან სულაც გააუქმოს ყველა და ყველაფერი... ვუყურებ ამ ცისფერთვალება ვალკირიას და მხოლოდ იმაში მეპარება ეჭვი – ნამდვილად ათენა პალადაა, თუ ყინულის დედოფალი, რომელსაც ანგარიშების გაყინვასთან ერთად გულების და ერების გაყინვაც ხელეწიფება (რა თქმა უნდა, ისევ მაღალი გიულიას კეისრის დავალებით და მოწონებით!ძ?!

დაბოლოს, მოვესწარით იმას, რომ ერთი ჩვეულებრივი კოკის (თუმცა მერე დიდმეორე (მერისძ დიდმეორედ ქცეულის!ძ მიერ ერთ ჩვეულებრივ დღეს დაფუძნებული ერთი 2008 წლის არჩევნებზე ლუსტრირებული nGnI – „ახალი თაობა – ახალი ლოთვერნობა“ – არც მეტი, არც ნაკლები, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანას და კონსტიტუციით დადგენილი არჩევნების ვადების არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს!

მერე რა, რომ კონსტიტუციით – საკონსტიტუციო სასამართლო არ იხილავს იმას, რამდენად კონსტიტუციურია ის, რაც კონსტიტუციაში წერია, არამედ მხოლოდ კანონების კონსტიტუციურობას სწავლობს!

მერე რა, რომ კონსტიტუციით არჩევნების შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი სარჩელის შეტანის უფლება აქვს მხოლოდ სამ სუბიექტს – საქართველოს პარლამენტს (დეპუტატთა ერთ მეხუთედსძ, საქართველოს ღვთიურ პრეზიდენტს და საქართველოს სახალხო დამცველს! – დიდი კოკის დიდმა მემკვიდრემ მიშამ (დევდარიანმაძ იცის, რომ თუ ადგები და დააბრეხვებ – ესე იგი, ითხოვ და მოგეცემა! საქართველოს აბსურდულ (უკვე სუპერაბსურდულძ – სახელმწიფოში სავსებით დასაშვებია, რომ ხვალ მიშა დევდარიანმა კი არ შეიკავოს თავი საკონსტიტუციო სასამართლოში ამ აბსურდული და იურიდიულად შეუძლებელი სარჩელის შეტანაზე, არამედ საქართველოს მაღლითკურთხეულმა პარლამენტმა ჩაასწორ-ჩაამგვირისტოს კონსტიტუცია და ზემოთ ხსენებულ სამ სუბიექტს დაამატოს – „...და არასამთავრობო ორგანიზაციას“... ხოლო ვინმეს რომ რამე არ აერიოს, უფრო გამოკვეთილად და გასაგებად ჩასწეროს – “ ... და არასამთავრობო ორგანიზაციას nGnI-ის“... ან კიდევ უფრო ერთმნიშვნელოვნად – „და არასამთავრობო ორგანიზაციას nGnI-ის, თუ მისი კურსი და პოლიტიკური პლატფორმა ისეთი იქნება, მიშას (მაღალსძ რომ გაუხარდება“... და თუ ეს ასე მოხდება, საქართველოში გვექნება კიდევ ერთი ახალი ღვთიური ორგანიზაცია და კიდევ ერთი მომცრო ღვთაება – მიშა II (ნიუჯენერეიშენსკი!ძ

ახლა კი მოკლედ და გასაგებად ისეთ გაუგებარ რამეზე, როგორიცაა აბსურდი.

„აბსურდის“ განმარტებაში შემდეგი ცნებები მოვიძიე – უკიდურესად უაზრო მსჯელობა, სასაცილო, ან სისულელე.

საქართველოს ნაცმოძრაობული საფაშო თავისი დეგრადაციული განვითარების იმ ფაზაშია შესული, როცა უბრალოდ აბსურდი კი არ მეფობს, არამედ – სუპერაბსურდი. ამიტომ ჩვენი ხელისუფლების ნაბიჯები სწორედ იმით გამოირჩევა, რომ მათ საერთოდ არ სცხია აზრის ნატამალი, კოშმარულად სასაცილოა და უბრალოდ სისულელე კი არაა, არამედ – არასაიდუმლო და ქაჯური სიროზა.

რამდენიმე მაგალითი.

მიხეილ სააკაშვილი წავიდა ნანატრ (მონატრებულ!ძ თეთრ სახლში, სადაც მას 15-წუთიანი შეხვედრა და 6 წუთიანი ბრიფინგი ჰქონდა (თუმცა იყო კიდევ სადღაც ვაშინგტონურ მდელოზე, რომელიღაც უსახელოური სააგენტოებისათვის ჩატარებული სოლობრიფინგი თემაზე – „დედა, რა იყო ეს, ააა?!“ძ. ამაზე დაიხარჯა მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის ზუსტად 4 წელი, ერაყში და ავღანეთში გაგზავნილ-გაფართოებული კონტინგენტი, სამი სატელევიზიო მონსტრის და ერთი პაწაწუკა ბოლმიკო რეალტივის, დიდმეცხედრე თამარას „ტაბულას“, გიგის პრაიმტაიმის, სხვადასხვა დრონიჯიების და პრესაჯიების ბიუჯეტი და ენერგია, ხუთი ამერიკული პი-არ- და ლობისტური კომპანიებისათვის გადახდილი მილიონობით დოლარი, პრეზიდენტის 10-დღიანი მგზავრობა და კალიფორნიაში ჰიპებთან ჩატარებული ლექცია თემაზე, „როგორ მივაღწიეთ ჯენიფერ ენოსტონისნაირ მებაჟეებს და ვერა ძოზალიასნაირ (მდძგრადებს“...

სააკაშვილის ერთადერთი გულიდან ამოსული და არადამბოლებელი ფრაზა მთელი ამ 10 დღის განმავლობაში იყო: „რჩევები კარგია, მაგრამ გადაწყვეტილებები თავად უნდა მივიღოთ“!

მერე ჩამოვიდა მიშა და ... არც არაფერი. იმის მაგიერ, რომ გაემართა შეხვედრები და აეხსნა ერისთვის, კერძოდ, რა შეიტანა და რა გამოიტანა იმ ოვალური კაბინეტიდან, საიდანაც ახლა ვითომ ყველაზე მეტი გამოიტანა... აეხსნა, მაინც რა უნდა ობამას საქართველოს არჩევნებიდან, რატომ ახსენებს დემოკრატიული და თავისუფალი უნდა იყოსო? რას ნიშნავდა სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-მდივნის დადასტურება იმაზე, რომ ობამას ჰქონდა საუბარი სააკაშვილთან მისი გაპრემიერების შესაძლო ვარიანტზე?.. რა ურჩიეს, როდესაც განაცხადა, გადაწყვეტილება თავად უნდა მივიღოთო?.. რას ფიქრობს „ვაშინგტონ პოსტის“ სარედაქციო სტატიით ერთაზროვან გაფრთხილებაზე... არაფერი ეს არ მოუყოლია ტრიუმფატორს! ტრაპიდან პირდაპირ ვერტმფრენზე გადახტა და დუშეთის საავადმყოფოს ეწვია, სადაც ახალშობილიც გაჩნდა – საკეისრო კვეთით, მაგრამ ხომ გაჩნდა და...

მერე კი ისევ ისე გაგრძელდა... თეთრიწყარო, გამგეობა, ბათუმი, ღარიბი ოჯახი, ვაუჩერი, ციტატები ბნელეთის ძალებზე, რომლებიც თურმე მაღალ რაინდს ებრძვიან...

მხოლოდ ორი კვირის შემდეგ გაახსენდა ქვეყნის მთავარ მეუსაფრთხოეს და მთავარი იდეოლოგის თანამეცხედრეს - ვიზიტმოზიარე გიგა ბოკერიას, რომ არ იქნებოდა ცუდი ხალხისთვის იმის მოყოლა – რა მოხდა ვაშინგტონში. და ეწვია სადიალოგოდ მაღლითკურთხეულ დავით პაიჭაძეს, რომელიც საკმარისად ზრდილია იმისთვის, რომ რაიმე უხერხულად არ იკითხოს და საკმარისად ჭკვიანი იმისთვის, რომ რაიმე იკითხოს. და იყო ტრადიციული „არასდროს აქამდე“, „პირველად მსოფლიოს ისტორიაში“, „სრულიად ახალ საფეხურზე ასვლა“, „სტრატეგიული პარტნიორების უმნიშვნელოვანესი შეხვედრა“, „თავისუფალი ვაჭრობის აქამდე არნახული პერსპექტივები“... თუმცა გავიგე საკმაოდ საინტერესო რამ – რომ თურმე „ნატოს ჩიკაგოს შეხვედრა ჩვეულებრივი შეხვედრაა და მასზე გაფართოება არ იგეგმება!“ (ვახ, აქამდე იგეგმებოდა, გიგაჯან! რაო, შეგიკრიჭეს ფანტაზიები, ძვირფასო?!ძ. ასევე ძალიან სერიოზული იყო გიგა, როცა „ვაშინგტონ პოსტსა“ და „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებულ ბიძინა ივანიშვილის სტატიაზე აგდებულად ლაპარაკობდა – არავითარი პოზიტიური მესიჯი არ იყო, და საერთოდ არასერიოზულია სარეკლამო ფართად შექენილ გვერდზე სტატიის დაბეჭდვაო, მესმის სარედაქციო სტატია ყოფილიყოო! ჯერ ერთი, ბატონ გიგას ეტყობა დაავიწყდა, რა ნეტარებით იქნევდა საპარლამენტო ტრიბუნიდან ერთი წლის წინათ „ფაინენშელ ტაიმსში“ სწორედ ეგეთივე სარეკლამო ფართზე დაბეჭდილ სტატიას მიხეილ სააკაშვილი და ნიშნისმოგებით იძახდა – ხედავთ, გვაღიარეს, როგორც ევროპაში ყველაზე უფრო კორუფციასთან მებრძოლი ქვეყანაო?! თუმცა ერთი წლის წინათ ნათქვამის შეხსენებას რა აზრი აქვს, როცა ბოკერიას „ვაშინგტონ პოსტის“ სწორედაც რომ სარედაქციო სტატიის გახსენებაც არ უნდა.



ახლა კი განვიხილოთ რა ხდება – მსოფლიოში ნავთობის გაიაფების ფონზე საქართველოში ისევ გაძვირდა ბენზინი.

მსოფლიოში მართლაც რომ პირველად დენზე მიბმული დასუფთავების გადასახადების შემომღებმა მერმა თანამოქალაქეებს და კერძო ბიზნესებს მოუწოდა, რომ პატრიოტულად თავად დაასუფთავონ ქალაქი (აბა, სიმწრით წაგლეჯილი ფული თუ მართლა ქალაქის დასუფთავებასა და თოვლის გაწმენდაზე დახარჯა, მერე არჩევნების მოსაგებ ფულს ვინ ოხერი მიაშავებს?ძ

საქართველოს პარლამენტში საოცრებების სეზონი დაიწყო – თავისი საქმეებით ძლიერ ცნობილმა გია თორთლაძემ კინაღამ შვილივით ნაზარდი უძლიერესი ფრაქცია – „ძლიერი საქართველო“ დაკარგა! რადგან ფრაქციიდან დეპუტატი რომან მარსაგიშვილი წავიდა! თორთლაძეს გვერდში ამოუდგა ასევე ძლიეროპოზიციური ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობა და დეპუტატი ასესხა! ასეთი რამ მართლაც იშვიათობაა – გამიგია ფულის სესხება, ადრე ყაბალახის და აზიაცკების სესხებაც მოდიოდა იმერეთში, მანქანის სესხებაც აღარ არის იშვიათობა, რომ არაფერი ვთქვათ ბავშვისათვის საკარნავალოდ ფორმის სესხებაზე, მაგრამ დეპუტატის სესხება?

აი, რას წერს ამ პარლამენტარულ სუპერაბსურდზე პრესაგენტ-ის ჟურნალისტი თეონა ხარაბაძე:

„...თორთლაძეს ქდმ-მ ათხოვა ერთი დეპუტატი. დიახ, ათხოვა, რადგან ქდმ-ს წარმომადგენელი ლევან ვეფხვაძე იმ დღეს სააგენტოებთან პირდაპირ ამბობდა, რატი მაისურაძე იდეოლოგიურად ჩვენთან დარჩება და პარტიის წევრი იქნებაო. ისე, ვეფხვაძეს ამ შემთხვევაში ორი უპატიებელი შეცდომა მოუვიდა და, წესით, უმრავლესობას ამაზე თვალი არ უნდა დაეხუჭა. პირველი, ეს არის ის, რომ პარლამენტის რეგლამენტი კრძალავს, რომელიმე პარტიის წევრი სხვა ფრაქციაში გაწევრდეს, თუ მის პარტიას პარლამენტში ფრაქცია აქვს შექმნილი. და მეორე, ფრაქციას ქმნიან თანამოაზრეები და, თუკი რატი მაისურაძე ქრისტიან-დემოკრატების თანამოაზრედ რჩება და ამ დროს თორთლაძის ფრაქციაში წევრდება, გამოდის, რომ თორთლაძეს და თარგამაძეს შორის არანაირი სხვაობა არ არის.“

მაგრამ ეს სუპერაბსურდი კიდევ უფრო შორს წავიდა. საქმე ის არის, რომ სწორედ იმ დღეს ნაცმოძრაობამ ბევრჯერ ურჩობაში (უსამართლო საკითხებზე ხმის მიცემიდან თავის არიდებაში და წინააღმდეგ ხმის მიცემაშიც!ძ შემჩნეული ბეჟან ხურციძე თავისი რიგებიდან გარიცხა. სავარაუდოდ, პარლამენტში მეფე-მზის მიხეილ სააკაშვილის მოზრწყინებისათვის ციკლოვკას და ლაქირებას პარკეტზე მეტად სწორედ დეპუტატებს უტარებენ და ხურციძე იმიტომ მოიშორეს, ემანდ საკუთარი რიგებიდან ჩამჭრელი კითხვა არ ჩაურტყას ნაოზამარ ბალანასო! ამ, თითქოსდა, სუფთა ნაცურ ნაბიჯს ისევ საწყალი პადოშასთვის აღმოაჩნდა მომაკვდინებელი ძალა – რადგან ამის პარალელურად უმცირესობისთვის ფრაქციის მინიმალური რაოდენობა გაიზარდა და მაისურაძის სესხებით „ძლიერი საქართველოსათვის“ შეყენებული წყალი ვერ დაშრა! უმრავლესობის ფრაქცია ისევ სასწრაფოდ შეიკრიბა (რა მძიმე დღე იყო, მგონი ომის დროს არ იკრიბებოდნენ ასე ხშირ-ხშირად! – თუ წითელ ხიდზე და მერე აზერბაიჯანულ სასტუმროს სასადილოში შეკრებას არ ჩავთვლით, რასაკვირველია!ძ – შეხვედრა დახურულ ფორმატში შედგა და ისეთი გასაიდუმლოებული იყო, რომ დარბაზიდან ტექნიკური პერსონალიც კი გაუშვეს, რაც აქამდე არასოდეს მომხდარა. ნაცმოძრაობის ამ საიდუმლო სერობამ აბსოლუტურად უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო – უმრავლესობამ თორთლაძის ფრაქციაში დეპუტატი კურდღელაშვილი მიავლინა, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოს პარლამენტში როსტევანის არაბეთივით „თხა და მგელი ერთად ძოვდეს“!

ამ სუპერაბსურდს მარტივი ახსნა აქვს – მალე საქართველოს პარლამენტს მრავალ არენაზე – ვენეციის კომისიასთან, ევროსაბჭოს და ევროკავშირის, ეუთოს სტრუქტურებთან და არასამთავრობო სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან მოუწევს იმის დადასტურება, რომ ჩვენთან ერთპარტიულობა არ არის, ამიტომ მათ ჰაერივით სჭირდებათ ხელის ოპოზიცია! თორემ სად ყოფილა და ვის გაუგია, უმრავლესობა უმცირესობის გადასარჩენად საგანგებო შეკრებებს მართავდეს და დეპუტატებს შამპანურივით აგზავნიდეს მეზობელ („მოწინააღმდეგე!“ძ მაგიდაზე?

იხ. 5 გვ.

ჩვენ

# ფესვებს მოწყვეტილნი

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ ხელმძღვანელმა ნინო ლომჯარიამ, სასტუმრო „რედისონში“ 2011 წლის ამომრჩეველთა სიის აუდიტის შედეგების პრეზენტაციისას განაცხადა, რომ აუდიტის შედეგად გაირკვა ის სერიოზული პრობლემა, რასაც შიდა და გარე მიგრაცია წარმოადგენს.

„58%-ია იმ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომელიც რეალურად ცხოვრობს მისამართზე, სადაც რეგისტრირებულია ამომრჩეველთა ერთიან სიაში. გარე მიგრაციის დადასტურებული შემთხვევა არის 7%-მდე, ხოლო შიდა მიგრაციის – დაახლოებით 9%. 25%-ია შემთხვევები, როდესაც ვერ მოვახერხეთ ამომრჩევლის საცხოვრებელი ადგილის იდენტიფიცირება, რაც ასევე შესაძლებელია, მიგრაციის პოტენციურ მაჩვენებლად განვიხილოთ. ჯამში 40%-მდეა მაჩვენებელი, რომელშიც შედის როგორც დადასტურებული, ისე პოტენციური მიგრაცია“, – აღნიშნა ნინო ლომჯარიამ.

საქართველოს პოლიტიკური სპექტრი უკვე კარგა ხანია საარჩევნო რეჟიმში „მუშაობს“. ნებისმიერი გახსნილი საავადმყოფო, „უახლოეს მომავალში შესაქმნელი სამუშაო ადგილები“, „კომპეტენტური“ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები თუ „შესაძლო გაყალბების წინააღმდეგ“ მიმართული აქციები, ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი საბუთია.

როგორც მოგეხსენებათ, არჩევნების ნორმალურად ჩასატარებლად პირველ რიგში ამომრჩეველთა სიის დადგენაა საჭირო. ამ წერილის დასაწყისში მოყვანილი ინფორმაცია საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის შესახებ, ნათლად გვაჩვენებს, რომ ქვეყანაში ამომრჩეველთა არამც თუ ზუსტი, მიახლოებული სიაც კი არ არსებობს.

ამ წერილში არ ვისაუბრებ არც იმ გარდაცვლილებზე, რომლებიც სამოქალაქო რეესტრის თანამშრომელთა „ჯადოქრობის“ შედეგად „გაცოცხლდნენ“ და არჩევნებზე მისულ შვილთაშვილებს კიდევ ერთხელ გაახსენეს თავი. არც იმ ბინებში მოსულ ნაგვის გადასახადზე, რომლებიც ბერლიოზის (ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“) ბინასავით „გაიწელნენ“ და უამრავი „ამომრჩეველი დაიტიეს“.

უბრალოდ მინდა შევეხო იმ საჭირბოროტო საკითხს, რაც ქართველების მიგრაციას ეხება.

ყველასთვის ცნობილი და სამწუხარო ფაქტია, რომ ქართველები მიმოფანტული არიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

ისმის რიტორიკული კითხვა: რატომ გარბიან „აყვავებული საქართველოდან“ საკუთარ მიწა-წყალზე შეყვარებული ქართველები?

ამ ცოტა ხნის წინათ, გაზეთმა „კვირის პალიტრამ“ჩაატარა საკმაოდ საინტერესო გამოკითხვა თემაზე „აქტუალური პრობლემა“. კითხვას, „რომელი პრობლემა გაღელვებთ ყველაზე მეტად“, 513 რესპონდენტი გამოეხმაურა.

**რეიტინგული მაჩვენებელი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:**

**1. უმუშევრობა 6.95**
**2. დაკარგული ტერიტორიები 6.58**
**3. მაღალი გადასახადები 5.75**
**4. დაბალი ანაზღაურება, პენსია 5.18**
**5. ადამიანის უფლებების დარღვევა 4.39**
**6. შიდაპოლიტიკური დაპირისპირება 3.19**
**7. მიგრაცია 2.59**
**8. კრიმინოგენური მდგომარეობა 1.36**

როგორც ვხედავთ, მიგრაციამ მეშვიდე, ბოლოს წინა ადგილი დაიკავა.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს პრობლემა აქტუალურად იმ ადამიანებმა ჩათვალეს, რომელთა ოჯახის წევრებმა, უახლოესმა ადამიანებმა დატოვეს სახლები, მიატოვეს ჩვეული გარემო და ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში გადაიხვეწნენ.

ის მიზეზები კი, რის გამოც მიგრაციის მაჩვენებელი ასე მაღალია, რეიტინგში ჩამოთვლილი პირველი ექვსი პუნქტი განსაზღვრავს.



დიახ, სწორედაც რომ გაუსაძლისი პირობები.

პრობლემურია დასაქმების საკითხი, პრობლემურია დაბალი ანაზღაურება. პრობლემურია დაკარგული ტერიტორიები (და არა მარტო აფხაზეთი და სამაჩაბლო, არამედ ის „ტერიტორიები“, რომლებიც დევნილებს გამოუყვეს, ხოლო შემდეგ ისიც წაართვეს). პრობლემურია ადამიანის უფლებების დარღვევა, უსამართლობა და ამას დამატებული უკანონოდ გაზრდილი და გაუსაძლისი გადასახადები.

მიდის ხალხი. გაედინება ადამიანური რესურსი. გაედინება და თანაც ისე, რომ მიუხედავად ხელისუფლების ტრაბახისა, მათი დაბრუნების შანსი ფაქტობრივად ნულის ტოლია.

ყველაზე მეტი ემიგრანტი რუსეთშია. მეორე ადგილზე საბერძნეთია.

კარგად მოგეხსენებათ, თუ რა პრობლემებს აწყდებიან ქართველები უცხოეთში.

თურქეთი ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც თავისუფლად შეიძლებოდა მიმოსვლა. შეიძლებოდა, მაგრამ იქაც გამკაცრდა სავიზო რეჟიმი და კანონის მიხედვით მიგრანტები ვალდებული არიან მაქსიმუმ სამი თვის შემდეგ დატოვონ თურქეთის ტერიტორია, დაბრუნებას კი მხოლოდ ოთხმოცდაათი დღის შემდეგ შეძლებენ. მათ ხელახლა მოუწევთ სამსახურის ძიება, რადგანაც 90 დღე სამსახურს არავინ „შეუნახავს“.

საქართველოში უპერსპექტივო ახალგაზრდები სხვა ქვეყნებში პერსპექტიულები ხდებიან. ამის მრავალი მაგალითი გვაქვს. ისინი დიდ წარმატებას აღწევენ და ხშირად სხვა ქვეყნის სახელით გამოდიან სხვადასხვა შეჯიბრსა თუ კონკურსზე (გავიხსენოთ ის ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები, რომლებმაც სხვა ქვეყნის „ყულაბაში ჩაყარეს“ ოქროს მედლები).

სამწუხაროდ, არის ემიგრანტთა საკმაოდ დიდი ნაწილი, რომლებიც პოლიტიკური ნიშნით არიან დევნილი. ხალხი, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური შეხედულებების გამო, იმის გამო, რომ დითირამბებს არ უკმევდნენ ამ ხელისუფლებას, იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ საკუთარი ქვეყანა (ალბათ, მიხვდით, რომ იმ ხალხს არ ვგულისხმობ, რომლებიც თავად ქმნიდნენ არსებულ რეჟიმს და შემდეგ რაღაც-რაღაცები „ვერ გაიყვეს“ თავიანთ „ბუნდთან“.

იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ ოჯახები, ახლობლები, მეგობრები და, რაც მთავარია, მიეტოვებინათ ის ადგილი, რომლის კეთილდღეობაზე ზრუნვის გამო მოუწიათ დაპირისპირება დიქტატორულ რეჟიმთან.

მათი მთავარი „დანაშაული“ ის იყო, რომ აქტიურობდნენ. ჩართული იყვნენ პოლიტიკურ პროცესებში. გამოდიოდნენ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ.

ისინი არ იყვნენ პოლიტიკური ლიდერები და შესაძლებელია, რომ სწორედ ამიტომაც ხელისუფლებამ მათზე დაიწყო ზეწოლა.

დაიწყო თუნდაც იმის გამო, რომ სხვებისთვის ეჩვენებინა, თუ რა მოჰყვება რეჟიმთან დაპირისპირებას.

ნაწილმა „გაასწრო“, ხოლო, ვინც ეს ვერ მოახერხა, სხვადასხვა სახის შეთითხნილი ბრალდებით იხდის სასჯელს.

სწორედ ასეთი შეთითხნილი ბრალდება ემუქრებოდა 1975 წელს დაბადებულ დავით მამაგეიშვილს, რომელიც აქტიურად იყო ჩართული ბოლო წლებში მიმდინარე ქუჩის პოლიტიკურ აქციებში.

დავით მამაგეიშვილი ერთ-ერთი იმ პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი იყო, რომელიც ბოლო პერიოდში აქტიურად უპირისპირდებოდა არსებულ რეჟიმს. ის ჩართული იყო ყველა იმ პროცესში, რომელიც საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის, ნამდვილი დემოკრატიის დამყარებისკენ იყო მიმართული.

მე არ აღვწერ დავით მამაგეიშვილის პოლიტიკურ აქტივობას. არ აღვწერ, რადგანაც მისი ისტორია მსგავსია იმ ადამიანების ისტორიის, რომლებსაც თავის დროზე სჯეროდათ „ვარდებით მოსული“ სიკეთის. სჯეროდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, იძულებული გახდნენ ისევ ბარიკადის მეორე მხარეს დამდგარიყვნენ.

დავით მამაგეიშვილმა ნახა ევროპული დემოკრატია. ნახა 2006 წლამდე საფრანგეთში ცხოვრების პერიოდში. ნახა და როდესაც საქართველოში ე.წ. „ცივილიზებული ხელისუფლება“ მოვიდა, სამშობლოში დაბრუნდა. დაბრუნდა, რათა დასავლეთში შეძენილი ცოდნა და გამოცდილება საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობისთვის გამოეყენებინა. მუშაობდა ბანკში, ჰქონდა ნორმალური პირობები. შექმნა ოჯახი.

მოკლედ რომ ვთქვა, ცხოვრობდა, მაგრამ დაინახა დემოკრატიის მანტიამოსხმული ხელისუფლების ნამდვილი სახე. დაინახა, რომ ტყუილი აღმოჩნდა ყველა დაპირება. დაინახა გაასმაგებული ჩაგვრა, გაასმაგებული კორუფცია, ძალადობა და პოლიტიკურად აქტიური გახდა.

შედეგად კი მიიღო ის, რომ დღეს ისევ საფრანგეთშია და მას თამამად შეიძლება პოლიტიკური ემიგრანტი ვუწოდოთ.

სამწუხაროდ, მსგავსი ისტორიები ძალიან ბევრია. ყველას ჩამოთვლა გაგვიჭირდება. ერთადერთი, რითაც შეიძლება „თავი დავიმშვიდოთ“, ისაა, რომ ცას გლდანის ციხის გისოსებიდან არ უყურებს.

ძალიან სერიოზული პრობლემაა მიგრაციის პრობლემა.

სერიოზული არა მხოლოდ საარჩევნო სიების კუთხით, არამედ იმ ინტელექტის, იმ ენერგიის გადინების მხრივ, რომელიც ასე სჭირდება ქვეყანას.

**გია გაბრიჭიძე**

ენერგომომარაგება

# მორიგი შეტაკება გაზის ომში

**დიდთოვლობამ და საშინელმა ყინვებმა, როგორც ჩანს, ევროპა და რუსეთი ერთმანეთს მაგრად „წააჩხუბა“.**

რამდენიმე დღის წინათ, ევროპაში გაზის უქონლობის გამო, ბევრი ოჯახი სითბოს გარეშე დარჩა, კერძოდ **იტალიასა** და **ავსტრიას** მისაწოდებელი საწვავის მესამედი დააკლეს. იტალიისა და ავსტრიის გარდა, ასევე დაზარალდნენ **პოლონეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი** და **გერმანიაც** კი. საგულისხმოა, რომ ამასთან დაკავშირებით „გაზპრომში“ მართალია კი აღიარეს, რომ გარკვეულ დღეებში ევროპის ქვეყნებისთვის გაზის მიწოდებას ამცირებდნენ, მაგრამ ამჟამად დღეში 150 მილიარდ კუბურ მეტრ ენერგოშემცველს კი არა, 180 მილიარდს აწვდიან.

მაშ, რა იქნა ის გაზი? თავდაპირველად ზოგიერთმა რუსეთელმა ანალიტიკოსმა გაზის ქურდობა უკრაინას დააბრალა: აქაოდა, რუსეთმა ტყუილად როდი გადაწყვიტა გაზსადენის უკრაინის გვერდის ავლით გაყვანა. უწინ ის ჩვენს გაზს იპარავდა, ახლა კი




ამას უარყოფს, ზედმეტი არაფერი აგვიღიაო.

მაგრამ, ამავე დროს, ექსპერტთა უმრავლესობა ინსინუაციის უცნაურობას აღნიშნავს. კერძოდ, „ნომოს ბანკის“ ანალიტიკოსი დენის ბორისოვი ხაზს უსვამს იმას, რომ „გაზპრომი“, ჩვეულებრივ, უმალვე ამჩნევს ხოლმე „უკრაინულ ხელმრუდობას“, ამჯერად კი მომხდარის თაობაზე „პატაკს“ მოგვიანებით და მეტად არადამაჯერებლად „გვაბარებს“.

–სიმართლე იმათ იციან, ვინც გაზის მილზე დაყენებულ მრიცხველებზე არიან მიჩენილები, – ასკვნის ექსპერტი. – **როგორც ჩანს, „გაზპრომი“ ყინვებს ევროპასთან დადებული კონტრაქტების გადახედვის მიზნით ზეწოლის ინსტრუმენტად გამოყენებას აპირებს.**

საქმე ისაა, რომ უკვე წლინახევრის მანძილზე რუსეთი უკმაყოფილებას გამოთქვამს ევროპაში მიწოდებული გაზის ფასით, თანაც, როცა საწვავი არ სჭირდება, მას არ ყიდულობს, ხოლო როცა აკლდება, ისტერიას აწყობს.

**ლალი ხუნდაძე**

ინფორმაცია

## ტაო-კლარჯეთის ისტორიული ძეგლების რესტავრაციასთან დაკავშირებით ქართული მხარის პოზიცია არ შეცვლილა

**ამის შესახებ ნიკა რურუამ „ინტერპრესნიუსს“ მთავრობის სხდომის დამთავრების შემდეგ განუცხადა.**

**რაც შეეხება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნინო კალანდაძის გუშინდელ განცხადებას, რომ კულტურულ ძეგლებთან დაკავშირებით თურქულ და ქართულ მხარეებს შორის ისტორიული ძეგლების აღდგენასთან დაკავშირებით შეთანხმება ჯერჯერობით ხელმოწერილი არ არის, რადგან ქართულ მხარეს გააჩნია პოზიცია, რომელსაც თურქული მხარე არ იზიარებს, ნიკა რურუამ განაცხადა:**

**„მინისტრის მოადგილეს სათქმელი განსხვავებულად გამოუვიდა. სინამდვილეში ის მართალია იმაში, რომ თურქულ მხარესთან ძეგლების რესტავრაციის თაობაზე შეთანხმების საბოლოო ტექსტი საქართველოში ჯერ არ ჩამოსულა და ხელმოწერილი არ არის, მაგრამ აუცილებლად იქნება, რადგან სხვანაირად იშხანსა და დანარჩენ ძეგლებს დავკარგავთ. ამის უფლება არ გვაქვს. სახელმწიფოს ფუნქცია მათი დაცვაა“.**

**საქართველოს ხელისუფლება თურქეთისგან ტაო-კლარჯეთში მდებარე ქართული ისტორიული სამონასტრო კომპლექსების – ოშკისა და იშხნის რესტავრაციას ითხოვს, რისთვისაც ოფიციალური ანკარა ბათუმში აზიზიეს სახელობის მეჩეთის მშენებლობისა და ახალციხეში მდებარე ახმედიეს მეჩეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებში ჩართვის პირობას აყენებს.**

**საქართველოს საპატრიარქომ რამდენიმე დღის წინათ ქართულ-თურქულ შეთანხმებასთან დაკავშირებით გაავრცელა განცხადება, რომელშიც მოლაპარაკებების პროცესში ქართული ეკლესიის ჩართვა მოითხოვა. ამასთან, გუშინ გამართულ ბრიფინგზე ნინო კალანდაძემ განაცხადა, რომ თურქულ და ქართულ მხარეებს შორის ისტორიული ძეგლების აღდგენასთან დაკავშირებით შეთანხმება ჯერჯერობით ხელმოწერილი არ არის.**

ინტერპრესი

აქტუალური თემა

# გარემოცვაზე ისეთმა უნდა ისაუბროს, ვისაც ყველაზე სანდოდ ეროსი კიწმარიშვილი არ მიაჩნია



გვესაუბრება ექსპერტი პოლიტიკურ საკითხებში სოსო ცისკარიშვილი

**— ირაკლი ოქრუაშვილმა ბიძინა ივანიშვილის მისამართით დაწერილ წერილში აღნიშნა, რომ ივანიშვილი საკუთარ გარემოცვას ზედმეტად ენდობა, ხოლო თავის დროზე გარემოცვამ რა სამსახურიც გაუწია ზვიად გამსახურდიას, ეს ყველასთვის ცნობილიაო.**

— ბატონი ოქრუაშვილის ინტერვიუ არ წამიკითხავს, მაგრამ ეს მოსაზრება, რომელზეც თქვენ ბრძანეთ, უკვე გამაცნეს. იცით, გარემოცვაზე საუბარი ალბათ უპრიანია ისეთი ადამიანისგან, რომელსაც ყველაზე სანდოდ ეროსი კიწმარიშვილი არ მიაჩნია. ამიტომ საკუთარი გარემოცვა, რომელიც თითებში შემოემსხვრა ბატონ ოქრუაშვილს, მას დაფიქრების მიზეზს, ბევრად უფრო მეტად აძლევს, ვიდრე კომენტარს გააკეთებს სხვა პოლიტიკურ ძალებთან არსებულ გარემოცვაზე კომენტარის გაკეთების საბაბს.

**— საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების გზაზე სამოქალაქო სექტორი გააქტიურდა. თუ ხელისუფლება არ მიდის დათმობაზე, რა რესურსი აქვს სამოქალაქო საზოგადოებას?**

— სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება უკვე აუცილებელი გარდუვალობაა, რადგან, როგორც ჩანს, მხოლოდ პოლიტიკური ძალების იმედად ჩიხში შესული პროცესი სამუდამოდ იქვე, ჩიხში დარჩება. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ეს მოძრაობა კიდევ უფრო გაფართოვდეს, ამაში ჩაერთოს რეგიონების სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლობა. ასეთი აქციები მხოლოდ თბილისში არ უნდა ჩატარდეს. შესაბამისად, რაც უფრო ადრე და ღრმად გავაცნობიერებთ საფრთხეს, რომელიც საზოგადოების პასიურ პოზიციაში იმალება, მით უფრო მეტი იქნება მოლოდინიც. დარწმუნებული ვარ, ასეთი აქტიურობის შედეგი ნაყოფს გამოიღებს, რადგან ჩვენი საპარლამენტო უმრავლესობა, როგორ კრიტიკულადაც არ უნდა ვიყოთ მისი საქმიანობის მიმართ განწყობილი, საკმაოდ გონიერია იმისთვის, რომ თეთრი და შავი გაარჩიოს. უბრალოდ, როგორც ჩანს, მათ უფლება არ აქვთ, საკუთარი აზრი გამოხატონ. მათაც უნდათ გათამამება და ხელის შეწყობა, რომ ისინი დარჩნენ საზოგადოებისთვის მისაღებ ველში, სურვილის შემთხვევაში, გააგრძელონ პოლიტიკური საქმიანობა და მანქურთების როლში არ დაამახსოვრონ საკუთარი თავი ქართულ საზოგადოებას.

**— არჩევნების დაჩქარებული წესით, მაისში, გადმოტანის მოთხოვნამ საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ასეთ შემთხვევაში, რა პერსპექტივა ჰქონდა როგორც ხელისუფლებას, ისე ბიძინა ივანიშვილის გუნდს?**

— ეს ინიციატივა ჩემი რომ ყოფილიყო, ყველას დავუდებდი ნიძლავს, რომ არაფერი შეიცვლებოდა, მაგრამ მე არც ახალი თაობა ვარ და არც — ახალი ინიციატივა. ეს ორგანიზაცია ერთმნიშვნელოვნად არის დაკავშირებული სახელისუფლო ინიციატივებთან და, შესაბამისად, ჩვენი ხელისუფლების ნაწილი მაინც ფიქრობს, რომ 2013 წლის ოქტომბრამდე ძალიან დიდი ხანია დარჩენილი იმისთვის, რომ კონსტიტუცია ამოქმედდეს და მოხდეს ის, რაც მოსახდენია. ყოველთვის ვჩქარობთ. ნაადრევი არჩევნების არგუმენტი იქნება თუნდაც ის, რომ ნაციონალურ მოძრაობას არა აქვს დანიშნულ ვადაში არჩევნების ჩატარების ელემენტარული გამოცდილება.

2004 წლიდან მოყოლებული, არც ერთი დონის არჩევნები არ შემდგარა მაშინ, როცა ის უნდა გამართულიყო. დღესაც იგივე მოუთმენლობის სინდრომია და, ზოგადად, მოუთმენლობა და წინდაუხედაობა არის ამ პოლიტიკური ძალის სრულიად მკაფიო მახასიათებელი. ამიტომ გასაკვირი არაფერია. ახლა ვინ მოასწრებს და ვინ არ მოასწრებს ელექტორატთან მუშაობას, ფაქტია, რომ საკუთარ პერსპექტიულ ამომრჩეველს ივანიშვილმა შესთავაზა არასტანდარტული გზა და პარტიის დაფუძნებამდეც კი, ფაქტობრივად, ქვეყანაში მისი მყარი ელექტორატი არსებობს. ამიტომ ტრადიციული წარმოდგენები იმის თაობაზე, თუ რამდენი ხანი სჭირდება პარტიის ჩამოყალიბებას, როგორი ტიპის აგიტაცია უნდა ჩატარდეს თითოეულ სოფელში, ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია, მაგრამ ახალ ტექნოლოგიებს, რომლებსაც ასეთი გაცხარებით და კანონდარღვევით ებრძვის ჩვენი ხელისუფლება, თავისი ძალა აქვს და აქ უკვე ფიზიკის კანონი მოქმედებს- ყოველი ქმედება იწვევს მხოლოდ საპირისპირო უკუქმედებას. უფრო მეტად შორდება ბატონი სააკაშვილი საკანონმდებლო ველს, რაც ასეთივე დიდი გაშმაგებით აისახება მოსახლეობის განწყობაზეც.

**— დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილის მოძრაობის საინიციატივო ჯგუფის წევრები, ერთი შეხედვით, ვითომ აპოლიტიკური ადამიანები, სულაც არ არიან აპოლიტიკურნი და პოლიტიკაში, მეტ-ნაკლებად, თავიანთი სიტყვა უკვე თქვეს. იმ შემთხვევაში, თუ ბიძინა ივანიშვილის გუნდში მათი გამოჩენა წარმატებული არ იქნება, წარუმატებლობა მათ პოლიტიკურ გაუთვითცნობიერებლობასაც ხომ არ დაბრალდება?**

— რაც შეეხება აპოლიტიკურ ადამიანებს, უკაცრავად, მაგრამ აპოლიტიკური ადამიანი დღეს ჩვენს მოსახლეობაში უმცირესობაა და ეს სწორედ ხელისუფლების ბრალია. მე დღევანდელი რეალობის მახასიათებლად, ფორმულის მსგავსად აღვიქვი ელისო ჩაფიძის ფრაზა — მე არ წავსულვარ პოლიტიკაში, ხელისუფლება თავად შემომეჭრა ოჯახში, სამსახურში და იქიდან გამომაძევაო. აი, ასეთი განცდით მიდიან პროფესიონალები პოლიტიკურ ძალებში.

**— რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ ელისო ჩაფიძის წასვლა პოლიტიკაში?**

— ნებისმიერი პროფესიონალის გადაადგილება პოლიტიკურ ველში ჩემთვის გულდასაწყვეტი ფაქტია, მაგრამ ეს აიხსნება არსებული რეალობით, რომელიც იმდენ სიმახინჯეს შეიცავს, რომ საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთობის გარეშე პოლიტიკოსებს აღარ ძალუძთ რაიმე წარმატების მიღწევა.

**— ქართულ ჟურნალისტიკაში, ობიექტურობის თვალსაზრისით, ელისო სრულიად სხვა მოვლენაა, მაგრამ ჟურნალისტებმა ქართულ პოლიტიკაში გაამართლეს?**

— ჟურნალისტები, როგორც ყველა სხვა პროფესიის ადამიანები, განსხვავდებიან, როგორც საკუთარი პროფესიული წარმატებულობით, ასევე მოქალაქეობრივი პათოსით. შესაბამისად, მარტო ჟურნალისტობა საკმარისი არ არის წარმატებული პოლიტიკოსობისთვის. ამას სხვა თვისებებიც უნდა ჰქონდეს, ელემენტარულად, ადამიანის ნიჭზეა დამოკიდებული, თუ რა სისწრაფით აითვისებს ახალ სივრცეებს, პოლიტიკის ახალ ენაზე რამდენად სწრაფად ამეტყველდება. ყოველ შემთხვევაში, პროფესიული წუნი იმ ადამიანებს, რომლებზეც ახლა ვსაუბრობთ, ნამდვილად არ მოეძებნებათ.

**მანანა ნოზაძე**

Presage.tv

როცა გარანტიები არ არის

# „ღმერთებს“ სწყურიათ...

(მესამე გვერდიდან)

მაგრამ რა „ოპოზიციონერებიც“ არიან ძმ თავისი გაზიხუთითეთრი ჭანტიურიათი და (სძექსპერტ სარჯველაძით, და პადოშა — თავისი ნაფტალინგაფერთხილი იაკობიძით და სუპერმიშისტი მაია ორჯონიკიძით და ლევან ჩოლოყაშვილით, ახლა უკვე საბოლოოდ გამოჩნდა და გაიშიფრა, ათას მამაძაღლობაზე გადამხტარი (შევარდნაძის ყოფილი სახეძ მიხეილ მაჭავარიანი და ხათუნა გოგორიშვილი რომ არა, ვნახავდით ხელმარჯვე ოსტატივით დაშლილ ალპინისტ-პოლიტიკოსს. მაგრამ როგორც ადრე საკრედიტო შიმშილი დაუფარეს, ახლა — საფრაქციო დეფიციტიც შეუვსეს ნაციონალური პარლამენტარიზმის სიმბოლოს და სიამაყეს.

ნათია მოგელაძემ ორი არასამთავრობო ორგანიზაცია შეისწავლა და ორი კარდინალურად განსხვავებული დასკვნა დადო — რესპუბლიკურ ინსტიტუტს რესპუბლიკურ პარტიასა და ქართულ ოცნებასთან კავშირი „დაუმტკიცა“ (ბავშვობიდან გამახსენდა აბრევიატურა „რ.დ.გ.“ — „რისი დამტკიცებაც გვინდოდა“!), ხოლო ზემოთ ხსნებულ ნაკოკარ „ახალ თაობა ახალი ინიციატივას“ საქალწულე აპკის ურღვევობის დამამტკიცებელი ფირმანი უბოძა! და ძალიან დროულადაც, რადგან მას მერე, რაც მიხეილ დევდარიანი არჩევნების მაისში გადმოტანის კონსტიტუციურ აუცილებლობაზე აჭიკჭიკდა, მისი ორგანიზაციის ქალწულობისა მხოლოდ სამ მიხეილს თუ სჯერა — სააკაშვილს, მაჭავარიანს და თავხელიძეს! (თავად დევდარიანს რომ არ სჯერა, დარცხვენილ ღიმილზე და დახრილ თვალებზე ეტყობოდა!)

თავად ამ კონსტიტუციური მუხლების არაკონსტიტუციურად ცნობის და არჩევნების ერთხელ და სამუდამოდ კონსტიტუციურ ვადებში ჩატარების დაუძლეველ წყურვილზე, რომელიც „ახალ გენერატორებს“ თურმე დიდი ხანია ჰკლავთ და ახლა ველარ იოკებენ:

— მათი განცხადებიდან ორიოდ საათი არ გასულა და ცალკე დიდმა იურისტმა და ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკური ორბურჯის ცალმა კალოშმა — პალიკო კუბლაშვილმა შეიცხადა — „ტიტუუ, რავა შეიძლება კონსტიტუციის არაკონსტიტუციურად ცნობაო?“ (გეგონება, ბოლო 8 წელია ამის მეტს რამეს აკეთებდეს, განსხვავებულს?!) და მერე დიდი კონსტიტუციონალისტი და კონსტიტუციის რეფორმის მამა ავთანდილ დემეტრაშვილი ამ გამყინვარების სეზონში ღილშეხსნილი თეთრი პერანგით (რას ნიშნავს კარგი ოფისი და კარგი გათბობა?!) ისე გამოვარდა და იბღავლა — რეფორმა არ დამინგრიოთო!, — ქართული ფოლკლორის დიდება — სიმღერა „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ“ გამახსენდა და თვალზე ცრემლი მომადგა, იმის წარმოდგენით, როგორ წარმოიდგინა, რომ თუ რეფორმა გაუქმდებოდა, მისი „ნაჯაფი“ ოფისიც და კაი ხელფასიც — ჩკა!.. და ალბათ იმ სომხეთში ელჩსაც როგორი ოფლი შეუდგა „ჩკა“-ს პერსპექტივაზე?!

ეპილოგის ნაცვლად:

გაგეცინებათ, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ ნაციონალურ მოძრაობაში თავად არ იციან — რას აპირებენ! არამცთუ არ იციან მინისტრებმა და პარლამენტარებმა, არამედ დიდ ხუთეულშიც კი არ იციან მგონი! (ყოველ შემთხვევაში, არავის ეუბნებიან).

დღემდე სერიოზულად განიხილება ვარიანტი, რომ მიშა გახდეს პრემიერ-მინისტრი (რაც იყო კიდეც დემეტრაშვილის რეფორმის ამოსავალი და ჩამავალი წერტილებიც და ღერძიც, იდეაც და ჰაზრიც!), მაგრამ ობამასთან საუბრების შემდეგ ყველა ხვდება, რომ ამ ვარიანტის რისკები მაქსიმალურია — თუ ამომრჩეველმა ხმა არ მისცა (და თავად უკვე 40%-ზეც თანახმა იქნებოდნენ), უცხოეთი არც თვალს დახუჭავს და არც გაჩუმდება — არც დასავლეთი, და არც დასავლეთისგან ბევრჯერ იმავე მიზეზით დანაცინი პუტინი...

განიხილება მეორე ვარიანტიც — საპარლამენტო არჩევნები ოქტომბერში, მიშა მაჟორიტარი დეპუტატი რომელიმე რაიონში (გრიგოლიას მიერ ნახსენები გლდანი საკმაოდ „რელევანტურია“ — რადგან იქ პოლიციელთა და ჯარისკაცთა დიდი მასებია თავმოყრილი, თან მიშას იმედი აქვს, რომ კობა დავითაშვილს მოუგებს, მაგრამ ალბათ ნირი წაუხდება, თუ თინა ხიდაშელი ეყოლა კონკურენტად!), ივანიშვილს მოქალაქეობას აძლევენ ივლის-აგვისტოში, როცა მიშა პრეზიდენტობიდან გადადგება და სამივე ნაციონალური არხი გადაჰყავთ 7X24 რეჟიმში ამომრჩევლის ღია და დაუფარავ ზომბირებაზე. დასავლეთიდან ამ ვარიანტზე ალბათ ყველაზე მინიმალური წინააღმდეგობა იქნება, თუმცა, პატიოსან თამაშად ამას მაინც ვერავინ და არავინ ჩათვლის! არავინ იტყვის „მიშა მაგარია!“

არამედ — „მიშა მაგარი აფერისტია!“

დაბოლოს, ყველაზე შმაგი ვარიანტი (რომელიც სოფიო ხორგუანმა გაახმოვანა) — საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები 5 მაისს! ნაცმოძრაობა იგებს რეგიონებს იმის ხარჯზე, რომ ივანიშვილი ვერ ასწრებს რეგიონებში პარტიული მუშაობის გაშლას და ტელევიზიის ამოქმედებას („იბერიკას“ ტელევიზიის სადგური დაზიანებული ჩამოვიდა!) და ეცდება, ამით გადაფაროს თბილისსა და დიდ ქალაქებში გარანტირებული მარცხი. საპრეზიდენტო არჩევნებში არაა გამორიცხული, რომ ბაქრაძეს გიორგი თარგამაძემ მოუგოს — რაც დასავლეთისათვის გაგორებული კოჭი იქნება „— ა, ბატონო, ხომ მოხდა ხელისუფლების დემოკრატიული ცვლაო!“ თუმცა, რადგან საპრეზიდენტო არჩევნები უკვე ჩატარებული იქნება, დემეტრაშვილის რეფორმა ამოქმედდება და პრეზიდენტი ქაღალდის ვეფხვად იქცევა. ამ ვარიანტში მიხეილ სააკაშვილი, როგორც გადამდგარი პრეზიდენტი, და ერთი უბრალო ჯარისკაცი — სათავეში ჩაუდგება თავის საპარლამენტო ლაშქარს, აარიდებს თავს პუტინის ზუსტი ვარიანტის გამეორებას და ეცდება, არც მწვადი დაწვას და არც შამფური. ბაქრაძე ივანიშვილს მოქალაქეობას კი მიანიჭებს, მაგრამ მაქსიმალურად დაგვიანებით, რომ პარტიის სათავეში ხვედელიძის გვარი იყოს და არა — ივანიშვილისა... სააკაშვილისთვის ამ ვარიანტის მთავარი ნაკლი ისაა, რომ ის 99.9%-ით იანვარი-2008 წლის ოპერაციის გადამღერებაა და ახლა უკვე ყველაფერი გაშიფრულია!

სამივე ამ ვარიანტს აქვს თავისი ხიბლი სააკაშვილისათვის და ნაცმოძრაობისთვის და დიდი რისკებიც.

ამიტომ სავსებით ლოგიკურია, რომ ამ სიტუაციაში ნაცმოძრაობის ბანდამ გადაწყვიტა, ის არჩევანი გააკეთოს, რასაც ოპოზიცია ყველაზე მეტად შეუშინდება და შეეწინააღმდეგება! ამიტომ ისინი, შესაძლებელია, სავსებით გამიზნულად, ამ სამივე ვარიანტს გაახმოვანებენ (თუმცა, არ დაადასტურებენ) და ივანიშვილის შტაბის რეაქციას დააკვირდებიან. ხოლო აირჩევენ იმ გზას, რაზეც მთავარი ოპონენტების მხრიდან ყველაზე უფრო მეტი უარყოფა ექნება...

რა თქმა უნდა, არაა გამორიცხული, რომ ეს ყველაფერი — კოკიობანა და კონსტიტუციურრეფორმობანა — რაიმე სხვა აქტივობის გადასაფარავად იყოს, მაგალითად — იმ ძალიან საჭირო სოლიდარობის აქციის — „ეს შენ გეხება!“, რომელიც მოქალაქეებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს განუმარტავს ხელისუფლების მიერ დეკემბრის ბოლოს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების რისკებს და არაკონსტიტუციოროებას! ასევე არაა გამორიცხული, რომ კონსტიტუციური სარჩელის 9-თვიანი მაქსიმალური ვადის მომიზეზებით საპარლამენტო არჩევნების ნოემბრის იქეთ გადაწევა სურდეთ მოლაპარაკე მარიონეტი “ღმერთების“ მეკუკლეებს — ეგება ობამამ ვერ გაიმარჯვოს არჩევნებში და მერე გავჯეჯილდებითო!..

**„ღმერთებს სწყურიათ“ — წერდა ანატოლ ფრანსი პირველი მსოფლიო ომის წინ საფრანგეთის დიდი რევოლუციის გმირების მიერ რევოლუციური იდეალებით დაწყებულ სისხლიან ტერორზე...**

**საქართველოში „ღმერთებს“ აბსურდი სწყურიათ...**

**იმედია, ანატოლ ფრანსის გმირებამდე ჩვენი „გმირები“ ვერ მივლენ...**

**თუმცა, გარანტიები არ არის...**

**სოლომონ თერნალი**

Presage.tv

„უჩინარი ხელი“

# ნადირობა პედაგოგებზე

საჯარო მოხელეების სამსახურებიდან გათავისუფლება პოლიტიკური ნიშნით ბოლო დროს აქტუალური გახდა. „უჩინარი ხელი“ განსაკუთრებით აქტიური და გამორჩეული საჯარო სკოლებშია. აღსანიშნავია, რომ სამსახურიდან პედაგოგთა დათხოვნის ფაქტების გახშირება დროში დაემთხვა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ აქტიურობას.

საჯარო მოხელეების და განსაკუთრებით პედაგოგების სამსახურებიდან გათავისუფლება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, თუმცა გამორჩეულად – საჩხერის რაიონის სოფლებში და უფრო მეტად ივანიშვილის მშობლიურ სოფელ ჭორვილაში ხდება. თუმცა საგულისხმოა, რომ პედაგოგების გათავისუფლება საჩხერიდან არ დაწყებულა, მანამდე იყო კახეთში, გორში...

6 იანვარს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგი თამარ სუხიაშვილი, დირექტორის ბრძანების საფუძველზე, სამსახურიდან დაითხოვეს. სუხიაშვილი მის გათავისუფლებას პოლიტიკური ნიშნით ხსნის.



მისი განცხადებით იგი, არჩევნების პერიოდში „რესპუბლიკური პარტიის“ საარჩევნო კომისიის (და არა პარტიისძ წევრი იყო. სუხიაშვილი ბოლოს პოლიტიკურ „აქტიურობაში“ მაშინ გამოიჭირეს, როცა ეხმარებოდა პიროვნებას, რომელიც ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნით ხელმოწერებს აგროვებდა. ალბათ „დასაფასებელია“ კაკაბეთის სკოლის დირექტორის ამაგი, როცა პედაგოგ სუხიაშვილის „გადასარჩენად“ და პოლიტიკური აქტიურობის გასანეიტრალებლად გასული წლის 23 დეკემბერს სუხიაშვილს სასწავლო ნაწილის გამგე ლუიზა შენგელია სახლში მიუგზავნა. სასწავლო ნაწილის გამგემ დირექტორის დანაბარები გადასაცა:

ბიძინა ივანიშვილთან თანამშრომლობას თუ არ შეწყვეტდა, იმ შემთხვევაში, აუცილებლად მოუწევდა სამსახურის დატოვება. 5 იანვარს კაკაბეთის საჯარო სკოლის საბჭოს სხდომა ჩატარდა, დირექტორმა პედაგოგ თამარ სუხიაშვილს მადლობა გადაუხადა კვალიფიციური მუშაობისთვის. მეორე დღეს კი სკოლიდან წასვლის შესახებ განცხადების დაწერა მოსთხოვა. როცა სუხიაშვილისგან უარი მიიღო – უთხრა, რომ მას უკვე გამზადებული ჰქონდა ბრძანება სუხიაშვილის სამსახურიდან წასვლის შესახებ, და რომ ეს ყველაფერი ზევიდან იყო ნაბრძანები.

9 იანვარს გორის მე-9 საჯარო სკოლაში 22 წლის სტაჟის მქონე სერთიფიცირებული პედაგოგი ია ბჟალავა დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გაათავისუფლა. იმავე სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ კი არასერთიფიცირებული პედაგოგი, საქართველოს ნაციონალი წევრის სანდრო მეზვრიშვილის მეუღლე დანიშნეს.. ია ბჟალავას მეუღლე თამაზ მაყაშვილი ირაკლი ალასანიას პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრია.

11 იანვარს უჩინარი ხელი გორის რაიონის სოფელ სკრის საჯარო სკოლის უცხო ენის პედაგოგს მარიამ კოხტაშვილსაც მისწვდა. ის დირექტორმა სკოლიდან ზეპირი განცხადებით გაათავისუფლა. მარიამ კოხტაშვილი, „რესპუბლიკური პარტიის“ გორის რაიონული ორგანიზაციის წევრ ემზარ ჭონიშვილის დედაა.

ასევე დაითხოვეს გარდაბნის რაიონის მე-3 საჯარო სკოლიდან „რესპუბლიკური პარტიის“ რაიონული ორგანიზაციის კომიტეტის წევრ თემურ გასანოვის მეუღლე საიატ გასანოვა.

ხელისუფლების გათვლებით განსაკურებით აქტიურნი და საშიშნი აღმოჩნდნენ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფლების და განსაკუთრებით ჭორვილას საჯარო სკოლის პედაგოგები. 12 იანვარს ჭორვილას საჯარო სკოლიდან სასწავლო ნაწილის გამგე თემურ კაპანაძე და პედაგოგები – ნონა შუკაკიძე, ლევან ივანაშვილი, ნონა ტყემალაძე, ირმა გუდაძე, თინა და მურმან კაპანაძეები დაითხოვეს. მათი ბედი გაიზიარა სოფელ სარეკის სკოლის პედაგოგმა მთვარისა მელაძემ.

ისინი მათი გათავისუფლების მთავარ მოტივად ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნაზე ხელის მოწერას ასახელებენ.

საგულისხმოა, რომ „ურჩი“ პედაგოგები სკოლის დირექტორმა ნოდარ გოგატიშვილმა პედაგოგიურ კოლექტივთან შეხვედრისას წინასწარ გააფრთხილა, რომ ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნაზე, ხელი არ მოეწერათ.

უშუალოდ ტექსტის ავტორი, პედაგოგი, ლევან ივანაშვილი აცხადებს რომ გათავისუფლების მიზეზად პოლიტიკური აქტიურობა დაუსახელეს.

„პოლიტიკურ აქტიურობაში ჩამეთვალა ის, რომ ბატონ ბიძინას მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებით ტექსტი დავწერე და ამას პედაგოგებმა ხელი მოაწერეს. გამოვიდა ისე, რომ ტექსტზე რესურსცენტრის ხელმძღვანელის შვილსაც აქვს ხელი მოწერილი. როცა რესურსცენტრის ხელმძღვანელს ეს ტექსტი დავუდე და ვუთხარი რა არის აქ პოლიტიკური-მეთქი, არც არაფერიო“, – აცხადებს უკვე ყოფილი პედაგოგი.

საბოლოოდ გაირკვა, რომ ლევან ივანაშვილი არა პოლიტიკური აქტიურობის არამედ ხელშეკრულების „დარღვევის“ გამო გაათავისუფლეს. ჭორვილას სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე და პედაგოგები თავიანთი უფლების აღდგენას სასამართლოს გზით ცდილობენ.

თბილისში პირველი ექსპერიმენტული სკოლიდან გაათავისუფლეს პედაგოგი თალიკო ლაგაზაური. მას პედაგოგად მუშაობის 22 წლის სტაჟი აქვს, ის იურისტ ზაქარია ქუცნაშვილის დედაა. ქუცნაშვილი ივანიშვილის გუნდის აქტიური სახეა. ის მიიჩნევს რომ თალიკო ლაგაზაურის გათავისუფლება პოლიტიკური ნიშნით მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ ზაქარია ქუცნაშვილის დედაა.

არის შემთხვევები, როდესაც პედაგოგები თავად წერენ განცხადებას სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, თუმცა მათი გადაწყვეტილება და სურვილი ერთმანეთს ნამდვილად არ ემთხვევა.

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი გურამ შუკაკიძე აცხადებს, რომ განსხვავებულად მოაზროვნე პედაგოგებს „ზემოდან“ ებრძვიან და მათ ადგილობრივების ხელით იშორებენ.

– როგორ შეიძლება საჩხერეში და არა მარტო აქ, ბიძინა ივანიშვილზე ვინმეს ცუდი დაცდეს, სიკეთის და კარგის გარდა. ყველას ეხმარება, ყველა ოჯახს მისით უდგას სული, უფასო საავადმყოფო არის სადმე? ხუმრობით რომ ვთქვათ, სოციალიზმია საჩხერეში და აბა ივანიშვილზე, ვინმეს აქვს ცუდი სათქმელი?!

– თქვენ ვინ შეგცვალათ? ვინ გახდა პერევის საჯარო სკოლის დირექტორი? შეიძლება ითქვას რომ ის ხელისუფლების კადრია?

– რა თქმა უნდა, აბა სხვა ვის მოიყვანდნენ და ვის დანიშნავდნენ?! ნაციონალი დანიშნეს ჩემს ადგილზე, სწორედ ეს იყო მათი მიზანი.

რაც შეეხება პერევს, როგორი სიტუაციაა იქ დღეს? არის თუ არა ხელისუფლების და გამგებლის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება საოკუპაციო ზონის მოსაზღვრე სოფლისადმი?

– რაც ხდებოდა, ისევ ისეა. დიდად არაფერი არ შეცვლილა... რუსის ჯარი დგას ისევ 50 მეტრის იქით, და იქითა ტერიტორიები დაკარგული გვაქვს. უბრალოდ, სათქმელად გავიდნენ სოფლიდან და იქვე არიან გზიდან 30 მეტრში. ხალხი საძოვარზე ვერ დადის. ასეთი მდგომარეობაა, და რაც შეეხება საჩხერის ხელმძღვანელობას, მათ არავინ არაფერს ეკითხება, ზევიდან წყვეტენ ყველაფერს. აქ, ადგილობრივი ხელისუფლება, პრაქტიკულად, რასაც ეტყვიან – იმის გამხმოვანებლები არიან“.

**დალი ბჟალავა**

Presage.tv

სიახლე



# ტურისტულ ზონებში ტურისტული საწარმოების შექმნა იგეგმება

**საქართველოში, ტურიზმის დარგის განვითარების მიზნით, ტურისტულ ზონებში, საწარმოები შეიქმნება.**

ამასთან დაკავშირებით ცვლილება „საგადასახადო კოდექსში“ შედის, რომლის ინიცირებაც პარლამენტში უკვე მოხდა. პროექტის ავტორი მთავრობაა და მისი განხილვა საკანონმდებლო ორგანოში, უახლოეს მომავალში დაიწყება.

როგორც **პრესა.ჯი**-ს მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გია ხუროშვილმა განუცხადა, კანონპროექტი ითვალისწინებს ტურისტული საწარმოს დეფინიციის შემოღებას და არეგულირებს ტურისტულ საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მისი განმარტებით, ტურისტულ ზონებში, ტურისტული საწარმოები შეიქმნება, რომელიც სამშენებლო საქმიანობით დაკავდება.

მისი თქმით, ნებისმიერ მოქალაქეს ექნება საშუალება იქ ბინა შეიძინოს, რომელსაც რვა წლის ვადით გააქირავებს და გარანტირებულ შემოსავალს მიიღებს.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, მოქალაქეს გადახდილი დღგ – 18 პროცენტი უკან დაუბრუნდება.

ხუროშვილი ახალი ინიციატივის მიზნად, უძრავი ქონების ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას ასახელებს და აღნიშნავს, რომ ადამიანებს შესაძლებლობა ექნებათ ფული აქტიურ ბიზნესში ჩადონ და შემოსავალი მიიღონ.

**„ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებული იყოს, რომ წელიწადში ერთი თვის განმავლობაში, ბინის მესაკუთრეს უფლება აქვს ბინა გამოიყენოს პირადი მოხმარების მიზნით. ახალი ინიციატივის მიზანია, ხელი შევუწყოთ უძრავი ქონების ბიზნესის განვითარებას, რათა ადამიანებმა ფული აქტიურ ბიზნესში ჩადონ და შემოსავალი მიიღონ. ასევე, ახალი სასტუმროები გაჩნდეს, რომელიც ტურისტებს ხარისხიან და ხელმისაწვდომ სერვისებს შესთავაზებს“**, – განაცხადა ხუროშვილმა.

ვინაიდან, საქართველოსთვის ტურიზმის განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მომზადებულ პროექტს, კანონმდებლები დადებითად აფასებენ.

**თეონა მანაგაძე**

საზეიმო ცერემონიალი

# შეიძინე ახალი პროფესია და გახდი გიდი!

**საქართველოს ტურიზმის განვითარების ცენტრში გიდის საერთაშორისო დღეს აღნიშნავდნენ.**

21 თებერვალი გიდის საერთაშორისო დღედ გამოცხადდა. არც საქართველო გახდა გამონაკლისი. ამის გარდა, გიდის სახლმა თანამშრომლებს მადლიერების სახით სერთიფიკატებიც გადასცა. ახალგაზრდებს შორის იყო გიდი, რომელმაც ამ პროფესიას 30 წელი მიუძღვნა.



ღონისძიებას წარუძღვა საქართველოს გიდების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი დარციმელია, რომელმაც საზეიმოდ გახსნა გიდის საერთაშორისო დღე და საქართველოს გიდების ასოციაციის მიერ შესრულებულ პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე გაამახვილა ყურადღება.

საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობდა ანსამბლი „ალილო“, რომელმაც რამდენიმე ყველასთვის ნაცნობი და საყვარელი სიმღერა შეასრულა.

საქართველოს გიდის ისტორიაში გაწევრებულ, ნომინაციებში გამარჯვებულ გიდებს საზეიმოდ გადაეცათ სერთიფიკატები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საერთაშორისო ორგანიზაციები და ტურიზმის სფეროს ექსპერტები.

**ირინა ოზოლაშვილი**

ინფორმაცია

## ჯანდაცვის სამინისტრომ შპს „ახალ სამშობიაროს“ საქმიანობა შეუჩერა

**როგორც ჯანდაცვის მინისტრმა ანდრია ურუშაძემ განმარტა, მოკვლევამ აჩვენა, რომ სამედიცინო დაწესებულებაში უხეშად არის დარღვეული კანონით დადგენილი პირობები, რაც რისკს უქმნის იქ მყოფი პაციენტების სიცოცხლეს.**

**მისივე თქმით, კლინიკის საქმიანობა მანამდე იქნება შეჩერებული, ვიდრე იქ შესაბამისი პირობები არ შეიქმნება.**

**ურუშაძის განცხადებით, პაციენტები, რომლებიც აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობენ, გადაყვანილი იქნებიან სხვადასხვა სამშობიარო სახლებში, რომლებიც შესაბამის სტანდარტებს დააკმაყოფილებს, მათი სხვადასხვა დასწესებულებაში მკურნალობის ხარჯებს სახელმწიფო დაფარავს.**

**ანდრია ურუშაძემ რამდენიმე დღის წინათ 26 წლის ნინო მარტოიანის გარდაცვალების ფაქტს ტრაგიკული უწოდა და განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი პროფესიული განვითარების საბჭოს სხდომაზე განიხილება და სამედიცნო პერსონალის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.**

**ჯანდაცვის მინისტრი ბოდიშს უხდის დისკომფორტისთვის იმ პაციენტებს, რომლებიც აღნიშნული ცენტრში მკურნალობდნენ.**

**კლინიკაში 26 წლის ნინო მარტოიანი 18 თებერვალს გარდაიცვალა, მისმა მკურნალმა ექიმმა კი, თვითმკვლელობა სცადა.**

ინტერპრესი

◎ მემორანდუმი

# ატენის ხეობა ტურისტულ ზონად ყალიბდება

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვერა ქობალიამ, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ზვიად ხმალაძემ და საქართველოში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ-ის პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება საქართველოში" ხელმძღვანელმა იორგ ოელშლეგერმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის მიზანია ატენის ხეობის განვითარება და მხარეებს შორის კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა.**

მემორანდუმის ხელმომწერი მხარეები შეთანხმდნენ ატენის ხეობის, როგორც ეკოლოგიურად სუფთა ტურისტული პროექტის, საერთო მიზნებსა და ამოცანებზე.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ზვიად ხმალაძის განცხადებით, გორის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს ატენის განვითარების პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის შესახებ დეტალური ანალიზის მომზადებას, საინვესტიციო წინადადებების, შესაფერისი ტურისტული პაკეტების შემუშავებას, ადგილობრივი მოსახლეობისთვის სამეწარმეო უნარ-ჩვევების მისაღებად ტრენინგების ორგანიზებას, რაც საბოლოოდ ატენის ხეობის ტურისტულ ზონაში სუფთა გარემოს შექმნას შეუწყობს ხელს.

**ატენის სიონის პროექტი უმნიშვნელოვანესი პროექტია რამდენიმე თვალსაზრისით, უპირველესად, ის შესაძლებლობას იძლევა შეიქმნას ახალი მიმართულებები ტურისტებისთვის, რომლებიც საქართველოში ჩამოდიან, ასევე შეიქმნება ეკოლოგიურად სუფთა გარემო, და რაც მთავარია, ამ პროექტით შიდა ქართლის მოსახლეობისთვის შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები,** — განაცხადა ვერა ქობალიამ.

მემორანდუმზე ხელისმომწერი მხარეები შეთანხმდნენ, რომ პროგრამის განხორციელების პროცესში ერთობლივად იმუშავებენ და პასუხისმგებლობას გადაინაწილებენ.

**ლია გრიგოლია**

◎ ინფორმაცია

## თონეებს ფიქსირებული გადასახადი დაუწესდებათ

**პირველი ეტაპისთვის ფიქსირებული გადასახადები მთავრობას თონეებთან მიმართებაში შემოაქვს. ცვლილება შესაბამის კანონმდებლობაში შედის, რომლის მიხედვითაც, მეწარმეს სურვილისამებრ შესაძლებლობა ეძლევა ფიქსირებულ გადასახადზე გადავიდეს და თითოეულ თონეზე თვეში ფიქსირებული 100 ლარი გადაიხადოს. თუმც ადგილობრივი**



**თვითმმართველობის ორგანოს საშუალება ეძლევა შემოსავლების სამსახურს თანხის კორექტირება სთხოვოს, რაც საერთო ჯამში თანხის კორექტირებას პლუს-მინიუს 50 %-ით ითვალისწინებს.**

**მთავრობის საპარლამენტო მდივანი გია ხუროშვილი აცხადებს, რომ ამ ეტაპზე ფიქსირებული გადასახადები თონებს დაუწესდებათ, ხოლო შემდეგ ეტაპზე უკვე სალონების ჯერიც დადგება.**

**— გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოების ინტერესი ფიქსირებულ გადასახადთან მიმართებაში საკმაოდ დიდია, ჩვენ ეტაპობრივად შემოვიღებთ ფიქსირებულ გადასახადებს. ამჯერად, საუბარია თონეებზე და თითოეულ თონეზე ფიქსირებული გადასახადის სახით საუბარია, ყოველთვიურად, 100 ლარის გადახდაზე. აღსანიშნავია, რომ თითოეული თვითმმართველი ორგანოს წარდგინების საფუძველზე ამ გადასახადის გადახედვაც მოხდება. შესაძლოა აღნიშნული გადასახადი შემცირებული იქნეს 50 %-ით, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას თვითმმართველ ორგანოსთან შეთანხმებით შემოსავლების სამსახური მიიღებს, — განაცხადა გია ხუროშვილმა.**

**მთავრობის საპარლამენტო მდივანი აცხადებს, რომ ფიქსირებული გადასახადის შემოღებით, ბიზნესს თავისუფლად ოპერირების საშუალება მიეცემა და ის ბუღალტრული დოკუმენტაციებისა და სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისგან თავისუფლდება.**

## „ლეიბორისტები" ელექტროენერგიის ვაუჩერების დარიგებას ფარისევლობას უწოდებენ

**როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე „ლეიბორისტული პარტიის" გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა განაცხადა, ხელისუფლება პოლიტიკურ აღსასრულს გრძნობს და ქრთამის სახით მოსახლეობას ელექტროენერგიის ვაუჩერებს ურიგებს.**

**— მიხეილ სააკაშვილმა იგრძნო რა თავისი პოლიტიკური აღსასრულის მოახლოება, დაიწყო 20-ლარიანი წინასაარჩევნო ქრთამის დარიგება ვაუჩერების სახით. მსგავსი ფარისევლობისა და ხრიკების ნაცვლად, მოვუწოდებთ დაუყოვნებლივ აღასრულოს „ლეიბორისტული პარტიის" მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში მოგებული სარჩელი (1-1/3/136 2002 წლის 30 დეკემბერი) და დენის ტარიფი დაიყვანოს თბილისში 11 თეთრამდე, ხოლო რეგიონებში 7 თეთრამდე, — განაცხადა სოსო შატბერაშვილმა.**

**მისივე ინფორმაციით, „ლეიბორისტულმა პარტიის" მოგებული სასამართლო პროცესის შედეგად, ქვეყანაში 3 წლის განმავლობაში მოქმედებდა ზემოაღნიშნული ტარიფები, რითაც მოსახლეობას დაეზოგა 1,5 მილიარდი ლარი.**

**„ლეიბორისტები" მიიჩნევენ, რომ სასამართლო გადაწყვეტილების შეცვლით და გაუქმებით პრეზიდენტმა სააკაშვილმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული.**

ინტერპრესი

◎ გამჭვირვალობის მოტივით

# ჯერ შეიჭვრიტე, მერე გამოუჩხრიკე!

## ივანიშვილი თუ სუფთაა, გამჭვირვალობას რატომ ემალება?

**მიშნაცებმა ქვეყნის არნახულ „აღმშენებლობასთან" ერთად თავი იმითაც გამოიჩინეს, რომ მუშაობის პროცესში თავიდანვე გამჭვირვალობას მიეძალნენ. ამით ისინი სამართლიანად ამაყობენ და წარამარა გვახსენებენ — ჩვენი რეფორმატორობა და დემოკრატიულობა იმითაც არის ღირებული და მისაბაძი მსოფლიოს მაღალგანვითარებული ქვეყნებისთვის, რომ საკუთარ ეკონომიკას, პოლიტიკას, განათლებისა და კულტურის სფეროებს ყველასათვის თვალსაწიერად, ღიად და გამჭვირვალედ ვმართავთო. ამის დასტურად ასახელებენ მტკვარზე გადებულ შუშის ხიდსა და ასევე აშუშაბანდებულ პოლიციის შენობებს, რომლებიც გარედან უცხოელ ტურისტებს უბრმავებს თვალებს, ხოლო შიგნიდან — უსამართლობით დაშინებულ-დაჩმორებულ საკუთარ მოქალაქეებს.**

ასეთი გამჭვირვალობის წყალობითა და ხელდასხმით ქართველმა ნაცებმა შექმნეს რეჟიმი, რომელიც სისტემატურად აშანტაჟებს, ყოველნაირად უშლის ხელს მუშაობაში მცირე და საშუალო მეწარმეს. აჩანაგებს ბუნებას, აღატაკებს მოსახლეობის უმეტეს ნაწილს და ამდიდრებს მხოლოდ თავისიანებს. ამ გამჭვირვალობის ნაყოფია სწორედ დამარცხებულად გამოცხადებული კორუფციის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ფაქტობრივად გაბატონება, ქვეყანაში ადამიანის სოციალური და პოლიტიკური უფლებების სრული იგნორირება. სამაგიეროდ კარგად არის დაცული ნაცმოძრაობის ელიტის ინტერესები. ისინი სრულად დაეპატრონენ ქვეყანას და უსწორდებიან ყველას, ვინც მათი რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლას გაბედავს.

და აი, ქვეყანაში პომპეზური საგამჭვირვალო ზეიმობის ჟამს, ნაცების საპოლიტიკო სივრცეში მოულოდნელად მეტეორივით შემოიჭრა მილიარდერი ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც ხმამაღლა, დაუფარავად და უცერემონიოდ განაცხადა, რომ მზად არის სააკაშვილის კარგად მომართულ ტოტალიტარულ მანქანას მოუძებნოს ადამიანური ალტერნატივა, რომელიც პირველ რიგში არა ხელისუფალთა გამდიდრებაზე, არამედ ქვეყნის რიგითი მოქალაქეების კეთილდღეობაზე იზრუნებს.

უყურე ერთი ამას, აქამდე ხმას რომ არ იღებდა, რამხელა პრეტენზიები ჰქონიაო, გაიკვირვეს ნაცებმა (მაშინ განაზულები იყვნენ, როცა ივანიშვილი თავად ხელისუფლებას და არა მარტო მას აფინანსებდა), და სასწრაფოდ ოპონენტის მისაჩუმათებლად ბრძოლაში კარგად ნაწრთობი გამჭვირვალობის მახვილი აღმართეს. ეგრე არ გამოვა, ძმაო, შენ რუსეთში მუქთად ნაშოვნი ფულებით ყელყელაობდე, ჩვენ კიდე გამჭვირვალობის ღუმელში ვიღვრებოდეთ, რომელ კანონში წერიაო, — შეუთვალეს ივანიშვილს და მის პირად საკუთრებას უბოდიშოდ ჩხრეკა დაუწყეს.

— კარგად ვიცნობ, ვინც ბრძანდება ვაჟბატონი, — გამოჟონა სააკაშვილის დაქალნებით ნათქვამმა პრეზიდენტის რეზიდენციიდან, — სულაც არ გახლავთ ისეთი ანგელოზი, როგორადაც თავს გვაჩვენებს. მიდით, შეიჭვრიტეთ ივანიშვილის „სეიფში", უბრძანა „ბიჭებს", თუ ვერაფერი იყნოსეთ, მერე მორგებული გასაღებით გახსენით, მთელი მისი ქონება ხალხს თვალწინ აუფრიალეთ და წლობით ნაგროვები რეიტინგი ერთბაშად გაუნიორწყალეთ.

ნებართვა გაცემული იყო და „ბიჭებმაც" თავი უმალ მოიგიჟიანეს, ივანიშვილს „დანაშაულზე" მაშინ წაასწრეს, როცა მის ბანკს „საქართველოს ბანკისგან" „გასათეთრებლად" მილიონობით ამერიკული დოლარისა და ევროს ტალახში ერთიანად ამოსვრილი „შავი" ბანკნოტები გადაჰქონდა. ნაცების მიერ განხორციელებულმა იმ ტალახიანმა ოპერაციამ რამდენად დაამცრო ივანიშვილის რეიტინგი და, შესაბამისად, რამდენად აამაღლა ხალხის თვალში სააკაშვილის ისედაც დაკარგული ავტორიტეტი, ამის თაობაზე მკითხველი უკვე ინფორმირებულია და აღარ შევჩერდები. სხვა საქმეა, რომ იმ კისერწატეხილი ფაქტიდან სააკაშვილმა და მისმა გუნდმა დასკვნები ვერ გამოიტანეს და „გონივრული ეჭვის" ნიადაგზე ივანიშვილს ახლა სხვა სფეროებში ჩადენილ „დანაშაულთა" გამოქექვა დაუწყეს.

მართალია ივანიშვილს „შავი ფული" ვერ აღმოუჩინეს, რამაც ერთგვარად „დაამშვიდა" მიშნაცები, მაგრამ ისინი მალევე ააფორიაქა სხვა პრობლემამ. კერძოდ, მილიარდერი ბიზნესმენი, ოხრად ამდენი ფული რომ აქვს დაგროვილი, ხომ შეიძლება ქარაფშუტულად მოიქცეს, თანხა უპრაგონოდ ჩამოურიგოს თავის მომხრე პოლიტიკურ პარტიებსა და ამომრჩევლებს, შექმნა არჩევნების გაყალბების აშკარა საშიშროება, თანაც აამღვრიოს წლობით ნალოლიავები გამჭვირვალობის სისტემა, რომელიც ხელისუფლებამ დიდი გარჯითა და რუდუნებით შექმნა. ამას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს, ამიტომ პარლამენტმა სასწრაფოდ მიიღო კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ", რომელიც უზრუნველყოფს პარტიების ლეგალურ, გამჭვირვალე დაფინანსებას და 2012 წლის არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას.

რა თქმა უნდა, ნაცები არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებენ არჩევნებისათვის მზადების პერიოდში არაკონკურენტული გარემოს შექმნას, ერთი რომელიმე პარტიისთვის უპირატესობის მიცემას და მეორის დაჩაგვრას, გარდა საკუთარი პარტიისა, რომელიც სხვებისგან განსხვავებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3-ჯერ და 5-ჯერ მეტ თანხას მიიღებს. ეს არის მათი ტრადიციული ხელწერა, რომელსაც არც ამჯერად ულალატებენ.

მოძალადე ხელისუფალთა პირადი ხელწერა და ამბიციები ნათლად გამოჩნდა ამ დღეებში ბათუმის ნავსადგურშიც, სადაც საბაჟო სამსახურის თანამშრომლებმა შეგნებულად დააზიანეს ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი შპს „იგრიკას" სატელევიზიო სატელიტური სადგური. აბა როგორ, ბატონებო, „იგრიკა" სამთავრობო ტელეარხებისგან („პირველი არხი", „რუსთავი-2", „იმედი"-ს განსხვავებით თურმე „სხვა პესნიებს" აპირებს და ამას მიშნაცები რანაირად შეეგუებიან. განა შეიძლება, მსოფლიოში უპირველესი დემოკრატიისა და გამჭვირვალობის მოდელ ქვეყანაში ტელეარხები განსხვავებული პოლიტიკური ენით საუბრობდნენ?!.

ერთი სიტყვით, საქართველოში მთელი დემოკრატიული და რეფორმატორული აღმშენებლობა ისეთი ვერტიკალით მიემართება, როგორც ეს ნაცების ხელისუფლებას მოეპრიანება და პირადად პრეზიდენტს მოეხუშტურება. ერთადერთი, რაც სააკაშვილს გულზე აწვება და ანერვიულებს, ის გახლავთ, რომ ქვეყანაში კორუფცია თვალსა და ხელსშუა გაუქვრა და ველარსად უპოვია. ამის თაობაზე დიდი სინანულით აუწყებდა ის ამერიკაში გამართული შეხვედრების დროს კონგრესმენ-სენატორებსა და საქართველოს არნახული მიღწევებით დაინტერესებულ საზოგადოებას.

ასეთ ვითარებაში რა ვქნათ, რა მოვიმოქმედოთ ისეთი, რომ პრეზიდენტს კორუფციის დაკარგვით გამოწვეული მწუხარება ოდნავ მაინც შევუმსუბუქოთ? ამაზე ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა ვიფიქრე, იმ დასკვნამდე მივედი, რომ საქართველოში სადაც კიტრი და პამიდორიც კი უცხოეთიდან შემოგვაქვს, ავდგეთ და კორუფციაც გავაიმპორტოთ (არა მგონია, რუსეთმა რომელიც ამ ბრენდით გაძეძგილია, მტრობის მიუხედავად, შესყიდვაზე უარი გვითხრასძ. მართალია პირველ ხანებში იმპორტული კორუფცია ყველას ვერ გასწვდება, მაგრამ იმდენი მაინც იქნება, რომ ფულით გაუმაძღარმა სახელისუფლებო კლანებმა ერთმანეთში გადაინაწილონ. ამის გამოცდილება მათ კარგა ხანია დააგროვეს.

**ოთარ ხუციშვილი**

◎ ინფორმაცია

## 20-ლარიანი ენერგოვაუჩერი დასუფთავების გადასახადზე არ გავრცელდება

**ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა ანდრია ურუშაძემ მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მისივე თქმით, არსებული ვაუჩერი არის შეღავათი გაზრდილი ელექტროენერგიის ხარჯების დასაფარავად.**

**— მოქალაქე იხდის ყველა კომუნალურ გადასახადს. შესაბამისად, 20 ლარით ნაკლები იქნება მისთვის ის გადასახადი, რაც ელექტროენერგიის დანახარჯთან არის დაკავშირებული, — განაცხადა ანდრია ურუშაძემ.**

**პრეზიდენტის ინიციატივით, მთავრობამ 20-ლარიანი ელექტროენერგიის ვაუჩერების დარიგება დაიწყო.**

ინტერპრესი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში

**საბჭოთა კავშირის პერიოდში ჯერ კიდევ მაშინდელი „რუსეთის“ ხელისუფლება „ამიერკავკასიას“ რისკის ზონად განიხილავდა, რომელიც იმ პერიოდისთვის ბევრი არ ყოფილა: 1. შორეული აღმოსავლეთი; 2. კალინინგრადი; 3. სამხრეთ კავკასია;**

ეს უკანასკნელი რისკის პირველ კატეგორიას განეკუთვნებოდა, თუმცა ძნელია იმის თქმა, რომ კრემლს თურქეთის ან ირანის აგრესიის ეშინოდა.

სამხრეთი კავკასიის რისკის პირველ კატეგორიაში განთავსება რუსეთის მმართველი წრეების „საღ მსჯელობას“ უნდა მივაწეროთ. სავარაუდოდ, ისინი ფიქრობდნენ რომ სამხრეთ კავკასიაში გაცილებით ადვილი იყო ისეთი ხასიათის კონფლიქტის გაჩაღება, რომელიც არაკეთილმოსურნეებს შეეძლოთ ადვილად „ეკვებათ“ გარედან, მაგალითად, იმავე ახლო აღმოსავლეთიდან.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სიტუაცია კიდევ უფრო გართულდა. ჩრდილოეთ კავკასია, როგორც კავკასიის რეგიონის ორგანული ნაწილი და რუსეთის სამხრეთის სასაზღვრო ზოლი, ფედერაციის ყველაზე მოწყვლად სუბიექტად ჩამოყალიბდა. გარდა ამისა, იგი მეზობლად აღმოჩნდა სამხრეთ კავკასიასთან, რომლის მართვის გეოპოლიტიკური ცენტრი ახალი პოლიტიკური რეალიების შედეგად რუსეთის საზღვრებს მიღმა დარჩა, კონკრეტულად კი, საქართველოში.

წინამდებარე ანალიზი აწყობილია იმ ვარაუდზე, რომ ცივი ომის დასრულების შემდგომ გაჩენილ ახალ, გეოპოლიტიკურ რეალობაში რუსეთის ფედერაციისთვის სამხრეთ კავკასია კვლავ რისკის პირველ კატეგორიას განეკუთვნება, ხოლო „რუსული პოლიტიკის“ არსი სამხრეთ კავკასიაში შესაძლებელია იყოს შემდეგი:

1. სამხრეთი კავკასიის შენარჩუნებაში, რათა შეინარჩუნოს მისი ყველაზე მოწყვლადი რეგიონი ჩრდილოეთ კავკასია;

2. სამხრეთ კავკასიის შენარჩუნება, რათა უზრუნველყოს ევროპის ენერგოდამოკიდებულება.

### სამხრეთ კავკასია და რუსეთის სახელმწიფო უსაფრთხოება

**პრემიერ პუტინსა და მის თანამოაზრე სამხედრო ელიტის წარმომადგენლებს ღია წყაროებში არაერთხელ გამოუხატავთ პოზიცია, რომ რუსეთის დაშლას მესამე ძალა ცდილობს და ის ამისთვის სწორედ ფედერაციის ყველაზე მოწყვლად რეგიონს ჩრდილოეთ კავკასიას იყენებს. მესამე ძალად კი ღიად სახელდება შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი.**

90-იანი წლებიდან მოყოლებული კრემლის პოლიტიკა კავკასიაში აშკარად თავდაცვითი ხასიათისაა, ამავდროულად ძალზედ ხისტი და მოუქნელი რომელიც რეგიონს კიდევ უფრო „მიმზიდველს“ ხდის მესამე ძალისთვის.

კრემლის „შიშები“ დიდი ალბათობით არ არის თითიდან გამოწოვილი. ჩეჩნეთის მოვლენებში აშკარად გამოჩნდა მესამე ძალა, რომელიც კონფლიქტს ფულითა და მებრძოლებით კვებავდა. ამასთან ერთად სიტუაციას კიდევ უფრო ართულებდა რუსული სამხედრო მანქანა, რომელიც ჩეჩნებზე თავად ყიდდა იარაღს.

ამავდროულად, 2014 წლის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო იზრდება რისკი იმისა, რომ დაძაბულობამ ჩრდილო კავკასიაში ვაინახური ზონიდან ჩერქეზულ ზონაში გადაინაცვლოს (ადიღე, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, ყაბარდო, აფხაზეთი).

აღნიშნულ ზონაში სიტუაცია რუსეთისთვის მართლაც არასახარბიელოა:

**1. ჩეჩნური ზონისგან განსხვავებით ჩერქეზული არ არის ისეთივე იზოლირებული;**

**2. აქ პრობლემას ტერიტორიული სეპარატიზმი წარმოადგენს და არა ვაინახური ზონის იატაკქვეშა დაჯგუფებების ისლამისტური განწყობილება;**

**3. ლეგენდა დიდი ჩერქეზეთის სახელმწიფოს შესახებ (რომლის აღდგენასაც მოითხოვენ) მოიცავს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს (აფხაზეთის ჩათვლით), კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებს;**

**4. დიდი ჩერქეზეთის აღდგენის იდეა განსაკუთრებით და საეჭვოდ ბოლო პერიოდში გააქტიურდა;**

**5. იდეის იდეოლოგებისა და მხარდამჭერების დიდი ნაწილი (ადამიანური რესურსი) ცხოვრობს რუსეთის ფარგლებს გარეთ...**

თუ ვეცდებით სამხრეთ კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის არსის გლობალური კონტექსტის რეგიონალურ კონტექსტამდე დაყვანას, დავინახავთ რომ კრემლის ეს პოლიტიკა არის ერთმანეთთან მჭიდროდ შეკრულ კომპონენტთა კონსტრუქცია. ეს კონსტრუქცია კი ასე გამოიყურება:

**1. რუსეთი-ირანი-სომხეთი;**

**2. რუსეთი-თურქეთი-აზერბაიჯანი.**

აღნიშნულ კონსტრუქციაში უკვე წლებია აღარ ფიგურირებს საქართველო, რომელიც ზემოხსენებული კონსტრუქციის ყველა სახელმწიფოსთან ინარჩუნებს კეთილმეზობლურ ურთიერთობებს, გარდა რუსეთისა. სავარაუდოდ ამ კონსტრუქციიდან კიდევ ერთი „კომპონენტის“ გამოთიშვა სერიოზულ საფრთხეებს შეუქმნის რუსეთის სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემას. შესაბამისად, არ არის გამორიცხული რუსეთის პოლიტიკური ადმინისტრაცია „წასული საქართველოსთვის“ არსებულ კონსტრუქციაში ადგილის გამოძებნაზეც კი ფიქრობდეს, რათა არ შედგეს „წარმატებული წასვლის“ მაგალითი.

### ენერგომატარებლების ექსპორტი და კავკასია

**რუსეთის ინტერესი კავკასიაში რეგიონის მნიშვნელობიდან გამომდინარეობს. შესაბამისია მის მიერ განხორციელებული პოლიტიკაც, რომლის არსის გააზრება გლობალური კონტექსტიდან ამოგლეჯილად არასწორი იქნება. გლობალური კონტექსტი კი დიდი ალბათობით თავისუფალი ენერგორესურსების კონტროლი, ანუ მსოფლიო ენერგოექსპორტის გარშემო განვითარებული დაპირისპირებაა. ანალიტიკოსთა გათვლებით მსოფლიოს თავისუფალი ენერგომარაგები უახლოეს 50 წელიწადში ამოიწურება.**

მსოფლიოს დადასტურებული ენერგომარაგების (ნავთობის დაახლოებით 61,5% და ბუნებრივი აირის 40% ძ აბსოლუტურ ლიდერად გვევლინება ახლო აღმოსავლეთი, რომელიც ევრაზიული ენერგოსივრცის ორგანული ნაწილია. თავის მხრივ, საინტერესოა რუსეთის, როგორც ევრაზიის უდიდესი წარმომადგენლის, როლი ენერგოსფეროში. რუსეთი ბუნებრივი აირისა და ნედლი ნავთობის უდიდესი მარაგების მფლობელია მსოფლიოში. ნავთობის ექსპორტის თვალსაზრისით ის მეორე ადგილზეა მსოფლიოში და პირველ ადგილზეა — ბუნებრივი აირის ექსპორტით.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შესაბამისი კანონმდებლობა ავალდებულებს ენერგომატარებლების იმპორტის დივერსიფიკაციას. რუსეთის ფედერაციაშიც გააცნობიერეს, რომ აღნიშნულ სფეროში, დადგება დრო და ევროპა აღარ იქნება მათი ერთადერთი პარტნიორი და, რომ მომხმარებლები აღმოსავლეთშიც (ჩინეთში, იაპონიაში, კორეაში, აზიისა და წყნარ ოკეანის რეგიონებშიძ უნდა ეძებონ.

მაგრამ ახალი პარტნიორების „ძებნა“, მიწოდებაზე მზარდი კონკურენციის პირობებში, სავარაუდოდ, არ იქნება ხავერდოვანი და უმტკივნეულო პროცესი რუსული ენერგოიმპერიისთვის, გარდა ამისა აქ უმნიშვნელოვანესია დროის ფაქტორი და კიდევ ერთი, საექსპერტო გათვლებით უახლოესი 15-20 წელიწადი ევროპას კვლავ რუსული ბუნებრივი აირი გაათბობს. თავის მხრივ ევროპის მიერ მოხმარებული ენერგორესურსის რაოდენობაზე იქნება დამოკიდებული რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტიც იმდენად რამდენადაც მხოლოდ მაქსიმალურად მაღალ ფასში ექსპორტირებული ენერგორესურსებიდან მიღებული ფინანსური რესურსი კვებავს ამ გიგანტ სახელმწიფოს და ერთდროულად გვევლინება მის ხერხემლად და აქილევსის ქუსლადაც. ენერგორესურსების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი რესურსების წილი რფ-ის სახელმწიფო ბიუჯეტში კიდევ მრავალი წელი დარჩება კრემლის ეკონომიკური სტაბილურობის განმსაზღვრელი.

რუსეთის მმართველი წრეებისთვის სამხრეთი კავკასიის შენარჩუნება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ტერიტორიული მთლიანობისა და ბუნებრივ საზღვრებს გამცდარი რფ-ის არაეფექტიანი ეკონომიკური სისტემის შენარჩუნების გზაზე.

კრემლს, რეგიონში სხვა ყველა დაინტერესებული ძალისგან განსხვავებით, ბუნებრივი მდებარეობით მოპოვებული უპირატესობა მომგებიან მდგომარეობაში ამყოფებს. თუმცა 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა დაადასტურა, რომ იგი საკუთარი ინტერესების უზრუნველსაყოფად არც სამხედრო, ქირურგიულ ჩარევებს ერიდება. გარდა ამისა, რუსეთის პოლიტიკური ადმინისტრაცია ხომ საზღვართან არასტაბილურობას ყოველთვის საზღვრის გადაწევით უპასუხებს?!

**გიორგი მოლოდინი,**

ჰი-ეიჩ-ენი



## დედამიწის ზურგზე



**გარდაიცვალა ნობელის პრემიის ლაურეატი მედიცინის დარგში, რომელმაც აღმოაჩინა კიბოს კავშირი ვირუსებთან**

**რენატო დულბეკო გარდაიცვალა 97 წლის ასაკში, ძილში, თავის სახლში ლა ჯოლაში. მან გამოარკვია სიმსივნის ვირუსების უჯრედების გენეტიკურ მასალებთან ურთიერთმოქმედების სქემა და მეცნიერებს მიაწოდა ავთვისებიანი სიმსივნეების იდენტიფიკაციის საშუალება, რომელიც გამოწვეულია სიმსივნის ვირუსებით.**

* * *

**იაპონიაში მხოლოდ ორი მომუშავე რეაქტორი დარჩა**



**თანაც ეს ენერგობლოკები აპრილის ბოლომდე ასევე გაჩერებული იქნება გეგმიური ინსპექციისთვის. თითოეული ატომური რეაქტორი, იაპონიის კანონმდებლობის თანახმად, გადის შემოწმებას 13 თვეში ერთხელ. ამრიგად, შუა გაზაფხულიდან იაპონიაში შეიძლება აღარ დარჩეს არც ერთი მომუშავე ატომური ელექტროსადგური.**

* * *

**ნასა აგროვებს მენიუს დეგუსტატორებს მარსის დამპყრობლებისთვის**



**ვარაუდობენ, მოახდინონ ექვსი ადამიანის იზოლირება შენობაში, რომელიც კოსმოსური ხომალდის იმიტაციას შექმნის, ოთხი თვით ჰავაის ერთ-ერთ კუნძულზე. განცხადებების მიღება 29 თებერვალს მთავრდება. ყველაზე ღირსეულების შერჩევა მოხდება მაისის ბოლოსთვის, თავად ექსპერიმენტი კი გაისად შედგება.**

* * *

**მონაკოს უფლისწულს სცემეს ნიუ-იორკში ღამის კლუბში სამი რუსი ფოტომოდელის გამო**

**თვითმხილველთა სიტყვებით, 24 წლის პიერ კაზირაგისა და ახალგაზრდა ამერიკელი ბიზნესმენის ადამ ჰოკის შორის კლუბში მოხდა ჩხუბი. ბიზნესმენი არწმუნებს პოლიციას, რომ სწორედ პრინცმა დაიწყო „მისი, მისი მეგობრების, აგრეთვე სამი იქ მყოფი გოგონას შეურაცხყოფა“.**



◎ არდავიწყება მოყვრისა...

# იოსებ რატილის საქართველო და ჩემი ჩეხეთი

ჩემი და ჩეხეთის სიყვარული დიდი ხნის წინათ დაიწყო. მაშინ, როცა ჯერ კიდევ სულ პატარამ შევიტყვე, რომ სადღაც, შორეულ ქვეყანაში, რომელსაც „ჩეხოსლოვაკია“ ერქვა და რომელიც რუსეთს არაფრით ჰგავდა, ჩვენი ღვიძლი ნათესავი გათხოვდა. მაშინ ჩეხეთი, უფრო სწორედ, ჩეხეთსლოვაკეთი სოცბანაკის წევრი იყო და ამიტომაც ორი ადამიანის სიყვარულისთვის სახელმწიფოს ხელი არ შეუშლია. მერე იყო ჩემი სახლის ბიბლიოთეკის თაროების ყველაზე „გამოსაჩენ ადგილზე“ წამოჭიმული სქელი, ყვითელი, უამრავჯერ წაკითხვა-გადაკითხვის გამო გაცრეცილი, ჩეხურიდან რუსულ ენაზე თარგმნილი წიგნი – იაროსლავ ჰაშეკის მიერ მოყოლილი ამბები ყოჩაღ ჯარისკაც შვეიკზე, რომლის ყველაზე სასაცილო ეპიზოდები ზეპირად ვიცოდით და ილფისა და პეტროვის გმირების ციტატების არა იყოს, შესაბამის მომენტში ყოველთვის გვახსენდებოდა ხოლმე; მერე – იულიუს ფუჩიკის ფრაზა „ადამიანებო, იყავითფხიზლად“ და მილოშ ფორმანის „გუგული“. ეს ქვეყანა ჩემთვის ყოველთვის უფრო მეტი იყო, ვიდრე საბჭოეთის „მეგობარი“ ქვეყანა – კარელ გოტი, ფილმი „სამი კაკალი კონკიასათვის“, ჩეხური ჭაღები, ბროლი თუ ძოწი. რაღაც განსაკუთრებული სიყვარულის, სიხარულისა და სითბოს ტერიტორია. ეს სიყვარული კიდევ უფრო გამიძლიერდა, ჩეხი როცა ვაცლავ ჩერნი, ივო ვაცულინი, ცნობილი დისიდენტი, ფემინისტი ირჟინა შიკლოვა, ჩემი მომავალი ჩეხი მეგობრები გავიცანი, როცა რადიო „თავისუფლებას“ ვსტუმრობდი... ერთ მშვენიერ დღეს კი საქართველოში ჩეხეთის საელჩომ ჩეხურ პატარა, კეთილ ქალაქ დობრუშკაში ჩეხური ენის სასწავლებლად გამიშვა, სადაც ჩემს ცხოვრებაში პირველად და უკანასკნელად ჩეხურ დადგმაში ვითამაშე და იქაურ გაზეთში მეწინავე გვერდზეც კი მოვხვდი.

პირადად ჩემთვის პრაღა და ჩეხეთი სწორედ ის ადგილია, სადაც ზეიმი ყოველთვის შენთანაა. და ამიტომ ძალიან მიხარია, როცა ვპოულობ ადამიანებს, ისტორიულ თუ ყოფით ფაქტებს, რომლებიც საქართველოსა და ჩეხეთს პირდაპირ თუ არა, ირიბად მაინც აკავშირებს. ახლაც მაქვს შენახული წლების წინათ ჩეხი მეგობრების მიერ საქართველოში დალეული სასმელის (სხვადასხვა ლიმონათ-მინერალური წყლიდან დაწყებული, ვიდრე ლუდსა და ღვინომდე) ბოთლების ეტიკეტების კოლექცია – ალბომი და ჩეხეთში გამართული ცეკვის ფესტივალ-კონკურსის რამდენიმე ცალი „ჟიური“ – ხურდა ფული. საქმე ის არის, რომ ჟიური დამსწრე საზოგადოება იყო. კონცერტის ბოლოს მაგიდაზე კონკურსში მონაწილე ანსამბლების აღმნიშვნელი ეტიკეტებიანი დიდი ზომის მინის ქილები შემდეგი მოსაზრებით დადეს: რომელი გუნდის ქილაც ხურდით უფრო მეტად აივსებოდა, ანუ მაყურებლები, რომლებიც იქვე ჩეხურ ლუდს დიდის ენთუზიაზმით ყიდულობდნენ და სვამდნენ, ყველაზე მეტ ხურდას გაიმეტებდნენ თავისი ფავორიტისთვის და „ყულაბაში“ ჩაყრიდნენ, სწორედ ის ანსამბლი გაიმარჯვებდა. გაიმარჯვეს – ქართველებმა...

ჩეხეთი კიდევ ერთი დიდი მიზეზის გამო, იოსებ რატილის გამო მიყვარს. ეს ადამიანი, ვფიქრობ, ქართველების მიერ უსამართლოდაა მივიწყებული და ახლა, როცა თებერვალში ქართული მუსიკის ამ უცხოელი მოამაგის დაბადებისა და გარდაცვალების თარილი გვიახლოვდება, ურიგო არ იქნებოდა მისი არათუ გახსენება, არამედ საკადრისი პატივის მიგებაც. 27 თებერვალს – 172 წელი დაბადებიდან, 12 თებერვალს – 100 წელი გარდაცვალებიდან.

1880 წლის 29 მარტს თბილისის ოპერაში სეზონი გაიხსნა. რუსული ოპერის დასმა ვერდის „ტრავიატა“ წარმოადგინა. ალფრედის პარტიას ჩეხი ტენორი 40



წლის იოსებ რატილი (ნამდვილი გვარია ნავრატილი) ასრულებდა. მისი დებიუტი ქართულ სცენაზე წარმატებული იყო. ქართული საზოგადოებისთვის მაშინ ჯერ კიდევ უცნობ მომღერალს პრესამაც მაღალი შეფასება მისცა. თბილისში რატილმა ორი სეზონი დაჰყო და წამყვან სოლისტად იქცა. იგი პირველ პარტიებს ასრულებდა ოპერებში „აიდა“, „სევილიელი დალაქი“, „ჰუგენოტები“, „ტრუბადური“, „ტრავიატა“, „ფაუსტი“, „რიგოლეტო“. მერე კი საგასტროლო ქვეყანა – საქართველო შეუყვარდა და ჩეხეთის ერთ-ერთ ქალაქ პარდუბიცაში დაბადებული ჩეხი სამშობლოში აღარ დაბრუნდა, ოჯახი ჩამოიყვანა და თბილისში დასახლდა. პრაღის კონსერვატორიის კურსდამთავრებულმა, რომელიც პრაღის, ვენის, ბერლინის, ვარშავის, ჰელსინკისა და პეტერბურგის საოპერო თეატრებში მღეროდა, საქართველოში ხალხური სიმღერების შეკრება და გამოცემა დაიწყო. ამ პერიოდში ლადო აღნიაშვილმა ქართული ხალხური სიმღერის გუნდის ჩამოყალიბება გადაწყვიტა და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ცნობილი მომღერლები მოიწვია. მაგრამ თავად აღნიაშვილი არ იყო პროფესიონალი მუსიკოსი, რომელსაც გუნდის ხელმძღვანელობა სათანადოდ შეეძლო. ამიტომ მან ლოტბარობა იოსებ რატილს შესთავაზა. მომღერალი შეთავაზებას მაშინვე დათანხმდა. გუნდს რეპეტიციებისთვის საკუთარი ბინაც კი დაუთმო. ლოტბარი ერთი წელი ხვეწდა „ქართული ხოროს“ რეპერტუარს. 1886 წლის 15 ნოემბერს ქართული სიმღერის პირველი პროფესიული ანსამბლი ქართული თეატრის (ამჟამად გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი) სცენაზე წარსდგა. კონცერტს ილია ჭავჭავაძეც ესწრებოდა, რომელმაც „ქართულ ხოროს“ გაზეთ „ივერიაში“ ვრცელი რეცენზიაც მიუძღვნა.

ამ გუნდში რატილმა 1888 წლამდე იმოღვაწა. შემდეგ მან საკუთარი ანსამბლი ჩამოაყალიბა, რომელიც ასევე ძალიან პოპულარული იყო. ანსამბლის წევრებს შორის იყვნენ ძმები ფალიაშვილებიც. დიმიტრი არაყიშვილმა კომპოზიტორობა კი სწორედ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც რატილის ანსამბლის შესრულებით ქართული სიმღერები მოისმინა. ქართული ფოლკლორით მოხიბლული ჩეხი მომღერალი თავდავიწყებით ჩაერთო ეროვნული საგანძურის შეგროვებისა და ნოტებზე გადატანის საქმეში. მან პირველმა ჩაწერა და დაამუშავა 30-ზე მეტი ქართული ხალხური სიმღერა, მათ შორის იყო: „დიამბეგო“, „ალილო“, „კახური სუფრული“, „გურული ოდელია“ და სხვ.

იოსებ რატილი აქტიურად მონაწილეობდა „ქართული გალობის აღმდგენი კომიტეტის“ საქმიანობაში. იგი ასევე ხშირად მართავდა საქველმოქმედო კონცერტებს. მეგობრობდა ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ალექსანდრე ყაზბეგთან, ვალერიან გუნიასთან, ვასო აბაშიძესთან, ვანო სარაჯიშვილთან, ზაქარია ფალიაშვილთან, იაკობ გოგებაშვილთან, სერგეი მესხთან. „რატილის ხორომ“ 1896 წლამდე იარსება. ეს საქმე შემდგომში მისმა მოწაფემ სანდრო კავსაძემ გააგრძელა. თუმცა, როგორც ირკვევა, ჩეხი ქართველი თავადაზნაურების ინტრიგების შედეგად მის მიერვე დაარსებულ გუნდს ჩამოაშორეს. მიზეზი კი მისი არაქართველობა ყოფილა. ამ ამბავმა იმდროინდელ ქართულ პრესაშიც ჰპოვა ასახვა..

თბილისში იოსებ რატილმა 32 წელი იცხოვრა და სამუდამო განსასვენებელიც აქ ჰპოვა. გარდაიცვალა 1912 წლის 17 თებერვალს. დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე, კათოლიკეთა უბანში. ერთ-ერთ გვირგვინზე ეწერა: „ქართველი ერის პატიოსან და მოჭირნახულე მეგობრის იოსებ ივანეს ძე რატილის ხსოვნას“.

დღეისათვის რატილის „ქართული ხოროს“ სამართალმემკვიდრე ანსამბლი „ერისიონია“.

1961 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა წიგნი სახელწოდებით „რატილი საქართველოში“ ( ავტორი ს. ლეკიშვილი), 1983 წელს კი კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ და ჩეხურმა სტუდია „ბარანდოვმა“ ერთობლივად გადაიღო იოსებ რატილისადმი მიძღვნილი ფილმი სახელწოდებით „გმადლობთ, რატილი“. სამწუხაროდ, 2005 წელს ფილმის ქართული ვერსია დილომში, „ქართული ფილმის“ არქივში გაჩენილი ხანძრის გამო განადგურდა.

დღეისათვის შემორჩენილია ფილმის მხოლოდ ჩეხური ვერსია, თუმცა, ალბათ, სათანადო სურვილის შემთხვევაში, ქართული ასლის მოპოვება „მოძმე რესპუბლიკების“ კინოფონდებში სავსებითაა შესაძლებელი. მანამდე კი რატილის ქართველმა გულშემატკივარმა სოსო მატკავამ ეს ფილმი ( ჩეხური ენაზე) მოიძია და „იუთუბზე“ ატვირთა. ამიტომ დაინტერესებულ პირებს მისი ნახვა ინეტრენტში შეუძლიათ (http://www.youtube.com/watch?v=_93DK9-JMqHY&feature=channel_video_title).

**ია მერკვილაძე,**
ნიუ-იორკი, აშშ

◎ ახალი სიცოცხლე

# თბილისში კოტე ხიმშიაშვილის ქუჩა გაიხსნა...



**ძველი თბილისის რაიონში მდებარე ერთ-ერთ ქუჩას კოტე ხიმშიაშვილის სახელი ეწოდა. 20 თებერვალს კოტე ხიმშიაშვილის დაბადებიდან 95 და ტრაგიკული აღსასრულიდან 70 წლისთავი აღინიშნა.**

მწერლის სახელობის ქუჩა, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დღეების ფარგლებში, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. აქ შეიკრიბნენ მწერლის ოჯახის წევრები, ნათესავები და კოლეგები.

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მთავარმა რედაქტორმა **როსტომ ჩხეიძემ** კოტე ხიმშიაშვილს გაბედული მწერალი უწოდა, რომელმაც თავის დროზე შექმნა ისეთი რომანი, რასაც მაშინ სხვა ვერ ბედავდა. იგი, მწერალი და მოქალაქე, გახლდათ გამორჩეული ფიგურა. როდესაც ვსაუბრობთ საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე და თავისუფლებაზე, მათ შორის უეჭველად უნდა ვახსენოთ კოტეს სახელი, როგორც თავისუფლების ძიების ერთ-ერთი სიმბოლოსი!

მწერლის დამ, საბავშვო მწერალმა **დოდო ხიმშიაშვილმა** სიამაყით აღნიშნა, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენს თავისუფალ საქართველოში რომელსაც 25 წლის კოტე ხიმშიაშვილის სიცოცხლე შეეწირა, მისი მემორიალური დაფა გაიხსნა. მისი სახელობის ქუჩაც გვაქვს...

**ცნობისთვის:** „საქართველოს გათავისუფლების ფრონტის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და წინამძღოლო კოტე ხიმშიაშვილი თანამებრძოლთან ერთად ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების სასამართლომ გაასამართლა და მას საქართველოს უმაღლესმა მოსამართლემ დახვრეტის განაჩენი გამოუტანა.

კოტე ხიმშიაშვილი სხვა თანამოაზრეებთან ერთად 1942 წლის 17 ოქტომბერს დახვრიტეს.



თბილისის საკრებულოს დეპუტატებმა 27 იანვრის სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად დედაქალაქის რამდენიმე ქუჩისა და სკვერისთვის ახალი სახელების მინიჭების შესახებ იმსჯელეს.

საკრებულოს წევრების თანხმობის შედეგად თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, მუხიანის ე.წ. სამხედრო დასახლებაში მდებარე უსახელო ქუჩებს ევგენი ღვალაძისა და რეზო გაბაშვილის სახელები ეწოდათ. დასახელება შეეცვალა ძველი თბილისის რაიონში მდებარე ნესტორ კალანდარიშვილის ქუჩას და მას კოტე ხიმშიაშვილის სახელი დაერქვა, ხოლო ამავე რაიონში მდებარე სოსო წერეთლის ქუჩას კოტე და სოსო წერეთლების სახელწოდება მიენიჭა.

ასევე ახალი სახელი დაერქვა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში მდებარე საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ ბაზასთან მდებარე სკვერს და მას ცნობილი ფეხბურთელის ვიტალი დარასელიას სახელი ეწოდა.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ ტელეთვალთმაქცობა

# მრავალსახეობა პრეზიდენტისა

„იმედი“, მიშაარხებს შორის ყველაზე მიშური, ბოლოხანს ძალიან გააქტიურდა და დაწინაურდა ქვეყნის უმაღლესი პირის გაპიარებისა და გაპრიალების მიმართულებით, რაც ჩემი აზრით, ცოტა გასაკვირიცაა: ამგვარი აქტიურობა უფრო უპრიანი იქნებოდა, მიმდინარე წელი რომ საპრეზიდენტო არჩევნებისა იყოს და მიხეილ სააკაშვილი მორიგ ჯერზე იყრიდეს კენჭს... თუმცა, თუ გავითვალისწინებთ რა კომფორტულია პრეზიდენტის ფრაკში „ნიშობა“ (სიტყვიდან „ნიში“), მაშინ ეგების აღარც იყოს გასაკვირი...

ადრეც მითქვამს და ჩემგან უთქმელადაც იცის მკითხველმა: რა პლანით გინდა, რომ არ უჩვენებიათ მიხეილ-ბატონი სპორტულ ტანსაცმელში ძუნძულით მორბენალი თუ ველოსიპედზე ამხედრებული (მოტოციკლზეც), თხილამურებით მოსრიალე და შავ ზღვაში მოცურავე, ავტომობილის საჭესთან თუ თვითმფრინავის შტურვალთან მჯდარი, მეშახტისჩაჩქნიანი თუ ახალშობილის მონანავე, ვენახში ყურძნის მკრეფავი და ელექტროშემდუღებელი... (მრავალწერტილი აქ კიდევ ბევრ მოუხსენიებელ „ნომერს“ ნიშნავს). ეს ყველაფერი – პრეზიდენტის ფუნქციების მიღმა...

ამ ფუნქციებს რაც შეეხება – ახლახან ხომ ვნახეთ ტელესიუჟეტი „პრეზიდენტის ერთი სამუშაო დღე“, თუმცა, კვლავ ჩემი აზრით, არც ისე შთამბეჭდავი: რაღაც ლოკალური ვოიაჟები, ჩაწყობილი შეხვედრები, უსაგნო თათბირები... ყველაფერი სატელეკამეროდ „გაპრიალებული“...

მე პირადად უფრო „შთამბეჭდა“ ბოლო იმედოსიუჟეტმა: საპრეზიდენტო-საოჯახო სუფრა, სამწევრიანი – პირველი პირი, პირველი ლედი და მეორე ვაჟიშვილი, პატარა ნიკუშა (პირველი ვაჟი, დიდი ედუშა რატომღაც ვერ გავიდა საქმეში). ტელეკამერამ რამდენიმე საგულისყურო დეტალი მონიშნა – მაგალითად, ლამაზი ხელებით როგორ გადაუსვა რაღაც დელიკატესი პურის ნაჭერს პირმშვენიერმა დიასახლისმა; როგორ გაახმოვანა, ბარე ორჯერ, ჭიქიდან ხვრეპა პირველმა პირმა (საკმაოდ ხმამაღლა...); როგორ აწვალებდა ჩანგლით ლუკმას პატარა ნიკუშა...

ცოტა უცნაურია, რომ ტელეჟურნალისტი ქალბატონი (ტელეოპერატორზე რომ აღარაფერი ვთქვათ) არ მიიწვიეს სუფრასთან და მიუხედავად იმისი სპეციფიკური მისიისა, საპრეზიდენტო „ლანჩის“ გარეშე პირად დარჩა; ისიც საკითხავია, თუ რამდენად საჭირო იყო ამ „უმაღლესი“ პურობის ჩვენება დიდწილად დამშეული ქვეყნის ტელეეკრანზე...

მოუთმენლად მოველი საიმედო „იმედის“ მორიგ ტელეგადაცემებს ასეთი სახელწოდებით: „პრეზიდენტის ერთი საპიარო დღე“; „პრეზიდენტის ინტიმური ცხოვრების საათები“ (თუნდაც რომელიმე მინისტრ ქალბატონთან); „ჟამი პრეზიდენტის სიფხიზლისა და ჟამი პრეზიდენტის სიმთვრალისა“...

გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია; გადასაღებიც; საჩვენებელიც; საერთოდ – საპიარო...

**ბერდია ბედოიძე**

ცურვა

# ოლიმპიადის გზა „ოლიმპიკიდან" დაიწყო

**საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში" დამთავრდა საქართველოს მოცურავეთა ზამთრის ღია ჩემპიონატი, რომელშიც თბილისის, აჭარის, გორის, საჩხერის, ჭიათურის, ჭორვილას, რუსთავისა და ბაქოს 120-ზე მეტი წარმომადგენელი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის. სტუმართა მონაწილეობამ შეჯიბრებას მეტი დაძაბულობა შესძინა. საგულისხმოა, რომ აზერბაიჯანელმა სპორტსმენებმა სხვადასხვა სინჯის რამდენიმე მედალი მოიპოვეს. ჩემპიონატის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრები (ირაკლი რევიშვილი, ირაკლი ბოლქვაძე, დავით სიხარულიძე, გიორგი მთვრალაშვილი, თეიმურაზ კობახიძე, აკაკი ვაშაკიძე, მწვრთნელები – ზურაბ ხომასურიძე და ირინა მინჟულინაძ, რომლის წევრებიც 28 თებერვლიდან დნეპროპეტროვსკში სალიცენზიო უკრაინის ჩემპიონატში ჩაებმებიან. მათთან ერთად იასპარეზებს საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი გიორგი ბუხრიკიძე, რომელიც ამჟამად კიევში სწავლობს მაგისტრატურაში.**



**ოლიმპიადამდე ჩვენს მოცურავეებს კიდევ სამი სალიცენზიო ტურნირი ელით – ბელარუსის ღია პირველობა, ევროპის ჩემპიონატი და ჩეხეთის საერთაშორისო ტურნირი. ამ ასპარეზობებზე ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურების მოპოვების შანსი მეტწილად აქვთ პეკინის ოლიმპიადის მონაწილე ირაკლი რევიშვილსა (200 და 400 მ. თავისუფალი ყაიდითძ და ირაკლი ბოლქვაძეს, რომელმაც შარშან შანხაის მსოფლიოს ჩემპიონატზე 200 მეტრზე ბრასსა და კომპლექსურ ცურვაში საქართველოს რეკორდები გააუმჯობესა.**

**ახლა კი ზამთრის ჩემპიონატის შედეგებს გაგაცნობთ:**

**გოგონები. თავისუფალი ყაიდა. 50 მ.** 1. გვანცა ხინჩეგაშვილი (გორი, 31,10ძ, 2. ელენე უნდილაშვილი („დილომი", 31,96ძ, 3. სოფიო სადარაძე („ტონუსი", 32,00ძ. **100 მ.** 1. გვანცა ხინჩეგაშვილი (1.08,60ძ, 2. სოფიო სადარაძე (1.12,06ძ, 3. ელენე უნდილაშვილი (1.12,33ძ. **200 მ.** 1. ავსანა ისმაილოვა (აზერბაიჯანი, 2.38,56ძ, 2. სოფიო სადარაძე („ტონუსი", 2.41,29ძ, 3. ნინო მეზვრიშვილი (გორი, 2.48,19ძ. **ბატერფლაი. 50 მ.** 1. ავსანა ისმაილოვა (34,28ძ, 2. მაია ხრიკული („ლაგუნა ვერე", 36,28ძ, 3. მარიამ ოზოლაშვილი (რუსთავი, 37,18ძ, **100 მ.** 1. ავსანა ისმაილოვა (1.17,89ძ, 2. მეგი ხათაშვილი (გორი, 1.25,17ძ, 3. მარიამ ოზოლაშვილი (რუსთავი, 1.25,75ძ. **ბრასი. 50 მ.** 1. თეონა ბოსტაშვილი (რუსთავი, 39,67ძ, 2. მარიამ ზუზიაშვილი (საჩხერე, 39,81ძ, 3. ქეთევან ყამარაული („ტონუსი", 40,87ძ. **100 მ.** 1. თეონა ბოსტაშვილი (1.27,24ძ, 2. მარიამ ზუზიაშვილი (1.27,73ძ, 3. ქეთევან ყამარაული (1,31,80ძ. **200 მ.** 1. თეონა ბოსტაშვილი (3.07,70ძ, 2. მარიამ ზუზიაშვილი (3.10,71ძ, 3. ქეთევან ყამარაული (3.14,94ძ. **გულაღმა ცურვა. 50 მ.** 1. ოქსანა ბელოვა (რუსთავი, 37,47ძ, 2. მარიამ წერეთელი („ტონუსი", 39,66ძ, 3. მეგი ხათაშვილი (გორი, 39,68ძ. **100 მ.** 1. ოქსანა ბელოვა (1.22,44ძ, 2. ანა გალდავა („ტონუსი", 1.29.63ძ, 3. ნატა ჯაფარიძე („ტონუსი", 1,30,41ძ. **200 მ.** 1. ოქსანა ბელოვა (3.03,96ძ, 2. ანა გალდავა (3,09,77ძ, 3. ნატა ჯაფარიძე (3.14,84ძ. **კომპლექსური ცურვა. 200 მ.** 1. მარიამ ზუზიაშვილი (3.02.20ძ, 2. მარიამ ხრიკული (3.03.43ძ, 3. თეონა ბოსტაშვილი (3.03,98ძ. **400 მ.** 1. თეონა ბოსტაშვილი (6.35,99ძ, 2. ოქსანა ბელოვა (6.47,88ძ.

**ვაჟები. თავისუფალი ყაიდა. 50 მ.** 1. ორხან მამედოვი (აზერბაიჯანი, 26,21ძ, 2. ზაურ არქანია (აზერბაიჯანი, 26,51ძ, 3. ვაჟა ჭიოტაშვილი (27,47ძ. **100 მ.** 1. ცოტნე მაისურაძე (რუსთავი, 57,93ძ, 2. ორხან მამედოვი (58,61ძ, 3. ზაურ არქანია (1.00,24ძ. **200 მ.** 1. ირაკლი რევიშვილი („ტონუსი", 1.58,46ძ, 2. დავით სიხარულიძე („ტონუსი", 2.01,88ძ, 3. ცოტნე მაისურაძე 2.06,56ძ, **400 მ.** 1. ირაკლი რევიშვილი (4.11,28ძ, 2. დავით სიხარულიძე (4.29,62ძ, 3. ნიკა ყაულაშვილი (რუსთავი, 5.03,03ძ. **800 მ.** 1. ირაკლი რევიშვილი (9.19,74ძ, 2. ცოტნე მაისურაძე (9.27,81ძ, 3. ნიკა ყაულაშვილი (10.25,00ძ. **ბატერფლაი.** 1. თემურ კობახიძე („ლაგუნა ვერე", 26,49ძ, 2. ირაკლი შავიძე (რუსთავი, 28,53ძ, 3. აკაკი ვაშაკიძე (რუსთავი, 28,71ძ. **100 მ.** 1. თემურ კობახიძე (59,91ძ, 2. აკაკი ვაშაკიძე (1.03,99ძ, 3. ირაკლი შავიძე (1.04,87ძ. **200 მ.** 1. თემურ კობახიძე (2.18,94ძ, 2. აკაკი ვაშაკიძე 2.28,16ძ, 3. ბაჩანა ტყემალაძე (ჭიათურა, 3.19,97ძ. **ბრასი. 50 მ.** 1. ირაკლი ბოლქვაძე („ტონუსი", 31,29ძ, 2. ლუკა კერვალიშვილი („ტონუსი", 33,21ძ, 3. რუსლან გატამხანოვი (აზერბაიჯანი, 34,59ძ. **100 მ.** 1. დავით სიხარულიძე („ტონუსი", 1.12,59ძ, 2. რუსლან გატამხანოვი (1.18,53ძ, 3. ბექა კაპანაძე („ივერია", 1.20,35ძ. **200 მ.** 1. ირაკლი ბოლქვაძე („ტონსი", 2.25,48ძ, 2. რუსლან გატამხანოვი (2.56,91ძ, 3. ნიკა მესხი (3.03,44ძ. **გულაღმა ცურვა. 50 მ.** 1. გიორგი მთვრალაშვილი („ტონუსი", 29,41ძ, 2. ენვერ გულიევი (აზერბაიჯანი, 32,43ძ, 3. ირაკლი ჭარბაძე („ტონუსი", 33,09ძ. **100 მ.** 1. გიორგი მთვრალაშვილი (1.02,88ძ, 2. ენვერ გულიევი (1.10,87ძ, 3. ირაკლი ჭარბაძე (1.13,38ძ. **200 მ.** 1. გიორგი მთვრალაშვილი (2.19,17ძ, 2. ენვერ გულიევი (2.35,69ძ, 3. ცოტნე დევდარიანი (რუსთავი, 2.39,26ძ. **კომპლექსური ცურვა. 200 მ.** 1. ირაკლი ბოლქვაძე („ტონუსი", 2.14,49ძ, 2. აკაკი ვაშაკიძე (რუსთავი, 2.33,82ძ, 3. ზაურ არქანია (აზერბაიჯანი, 2.34,65ძ. **400 მ.** 1. ირაკლი ბოლქვაძე (4.49,03ძ.

**ლექსო ცინცაძე**

დოპინგი

# სამი თვე აკმარეს



**უკვე გაუწყეთ, რომ ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონ ირაკლი ცირეკიძეს (100 კგძ, შარშან დეკემბერში ძიგორო კანოს „დიდ მუზარადზე" ბრინჯაოს მედლის მოპოვების შემდეგ, წესისამებრ, სინჯები აუღეს, რომლებშიც აკრძალული პრეპარატი გადამეტებული რაოდენობით აღმოუჩინეს. ამ ფაქტს ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია მსოფლიოს ანტიდოპინგურ სააგენტოსთან ერთად თითქმის ორი თვის განმავლობაში იკვლევდა და 19 თებერვალს საქართველოს ძიუდოს ფედერაციას პასუხიც გამოუგზავნა ცირეკიძის სამთვიანი დისკვალიფიკაციის თაობაზე.**

ამ საკითხს მიეძღვნა ძიუდოს ეროვნული ფედერაციის აღმასკომის სხდომა, რომლის დამთავრების შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი ალექსიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ირაკლი ცირეკიძე დოპინგის გამოყენების გამო სამთვიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა და ეს ვადა 19 აპრილს იწურება. ამდენად, მას შესაძლებლობა ეძლევა, იჭიდაოს ევროპის ჩემპიონატში, რომელსაც 26-28 აპრილს ჩელიაბინსკი უმასპინძლებს. გარდა სამთვიანი სასჯელისა, ცირეკიძეს ჩამოერთმევა ძიგორო კანოზე მოპოვებული ბრინჯაო და სალიცენზიო 120 ქულა.

რატომ აკმარეს ოლიმპიურ ჩემპიონს ასე მსუბუქი სასჯელი? ამის თაობაზე განმარტებას იძლევა საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს ხელმძღვანელი პალიკო კასრაძე: „ლაპარაკია კანაბოიდების ჯგუფში შემავალ პრეპარატზე (მარიხუანას კვალზეძ, რომელიც მხოლოდ ფიზიკური აქტივობისას, ანუ შეჯიბრებისას ვლინდება. ამ ტიპის პრეპარატი არ არის სტიმულატორი, ანუ გავლენას ვერ ახდენს შედეგზე, უბრალოდ, სპორტული ეთიკის დარღვევად მიიჩნევა, ამიტომაცაა შეტანილი აკრძალულთა სიაში. ეს გაითვალისწინა ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ სასჯელის გამოტანისას". ისიც შევიტყვეთ, რომ ტოკიოში გამგზავრებამდე ირაკლი ცირეკიძეს ამსტერდამის ერთ-ერთ კაფეში ნამცხვარი უჭამია და, ალბათ, ის თუ შეიცავდა მარიხუანას. ევროპელი კულინარებისგან ხომ ასეთი რამ მოსალოდნელია (ისე, საინტერესოა, ამსტერდამულ ნამცხვრებს ჰოლანდიელი ფალავნები თუ მიირთმევენ!ძ.

ასეა თუ ისე, ცირეკიძემ საოლიმპიადო რეიტინგში საკმაოდ ბევრი ქულა დაკარგა და უპირატესობა ლომერ ჟორჟოლიანს გადააბარა, რომელსაც ახლა 644 ქულა აქვს და ოლიმპიურ ჩემპიონს 238 ქულით უსწრებს.

**ლაშა დიდია**

ველორბოლა

## ასი წლის მოხუცი – რეკორდსმენი



**ასი წლის ველოსიპედისტმა რობერ მარშანმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი თავის ასაკობრივ კატეგორიაში. მან ერთ საათში გაიარა 24,25 კილომეტრი. ამ მომენტს ესწრებოდნენ საფრანგეთის ველოსიპედისტთა კავშირის წარმომადგენლები, ისე რომ, ვერავინ შეედავება მას, თითქოს მოხუცმა სპორტსმენმა ყველაფერი მოიგონა.**

რობერი დაიბადა შორეულ 1911 წელს. გადაიტანა ორი ომი, სექსუალური რევოლუცია და გასული საუკუნის ბევრი სხვა მოვლენის გამოცდა. მან მაინც შეძლო, 78 წლისას გასართობად ველოსიპედი აერჩია.

„ის ყოველდღე ვარჯიშობს, არ ეწევა, ზოგჯერ სვამს, მაგრამ ზომიერად", – ასე ახასიათებს მარშანს საფრანგეთის გზებზე ველორბოლის დირექტორი ჟერარ მისლე, რეკორდის დროს რობერს თან რომ ახლდა.

ამ რეკორდს ველოდრომზე შვეიცარიაში ასეულობით მაყურებელი ესწრებოდა.

ხსოვნა

# თენგიზ გიორგაძე



**87 წლისა გარდაიცვალა ჭადრაკში თბილისის ჩემპიონი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი და ჟურნალისტი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე თენგიზ გიორგაძე, რომელმაც ექვს ათეულ წელიწადზე მეტი იღვაწა ბრძენთა თამაშის საკეთილდღეოდ. მსოფლიოს სამ საჭადრაკო ოლიმპიადაზე (1994-1998 წ.წ.ძ მსაჯად იყო მიწვეული. გაზეთ „ლელოს" ჭადრაკის განყოფილების გამგე, საჭადრაკო გაზეთ „მერანის" პირველი რედაქტორი, ჟურნალ „ჭადრაკის სამყაროს" მთავარი რედაქტორი, სატელევიზიო ჟურნალ „სამორინეს" წამყვანი და ავტორი აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკასთანაც". იგი გახლდათ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ჭადრაკის სპეციალიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი. საერთაშორისო სარბიელისკენ გზის გაკაფვაში დაეხმარა არაერთ დიდოსტატს, მათ შორის – ევროპის ჩემპიონ ზურაბ აზმაიფარაშვილს, გიორგი ეფიმოვს, დავით შენგელიას, დავით არუთინიანს. პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი თენგიზ გიორგაძე 50-ზე მეტი წიგნის ავტორი გახლდათ. ღირსების ორდენის კავალერისა და მრავალი პრემიის ლაურეატის ნათელ ხსოვნას ახლობლები, სპორტის ქომაგები და მადლიერი შეგირდები არასდროს დაივიწყებენ.**

ინტერნეტიდან

## პრეზიდენტმა მოჰამედ ალის მიულოცა

**აშშ პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ 70 წლისთავი მიულოცა გამოჩენილ მოკრივეს მოჰამედ ალის გრანდიოზულ გალა-საღამოზე ლას-ვეგასში. „დაბადების დღეს გილოცავ, ალი, – თქვა ქვეყნის 44-ე პრეზიდენტმა, – როგორც მოკრივე, თქვენ იყავით დაუჯერებელი. თქვენ ეს სამყარო გადააბრუნეთ და თქვენი ცხოვრებით შთააგონეთ. თქვენს მიერ მოპოვებული წოდებებისა და ჯილდოების შემდეგ, თქვენ აქამდე შთააგონებთ მას".**

მთელი შემოსავალი გადაეცემა ორი სამედიცინო საკვლევ ცენტრს, რომლებიც ტვინს იკვლევენ. თვავად მოჰამედი დაავადებულია პარკინსონის ავადმყოფობით და დაახლოებით 30 წელია, ებრძვის მას. ექიმების განცხადებით, ავადმყოფობა, შესაძლოა, გამოიწვია მრავალრიცხოვანმა დარტყმებმა თავზე, რაც უამრავი იყო ალის კარიერაში. ორგანიზატორები გეგმავდნენ ამ საღამოზე 27 მილიონი დოლარის მოგროვებას. სადღესასწაულო ვაჭრობაზე 1,1 მილიონ დოლარად გაიყიდა ხელთათმანები, რომლებითაც ალი 1965 წელს ურტყამდა ფლოიდ პატერსონს. მათმა ახალმა მფლობელმა ლორენცო ფარტიტმა, რომელსაც ეკუთვნის ფედერაცია UFC, ალის ბრძოლები რომ მოაწყო, მიიღო ამ ბრძოლის ორიგინალური პროსპექტი. აუქციონზე ასევე გათამაშდა სამდღიანი მოგზაურობა ცნობილი ილუზიონისტის დევიდ კოპერფილდის კერძო კუნძულებზე, ახალთახალი „მერსედესი" და კიდევ რამდენიმე ლოტი.



როგორც ალიმ განაცხადა, „ხალხი მოელის სასწაულს, ხალხი თავის ცხოვრებაში ელის სიურპრიზებს. მაგრამ ყველაზე დიდი სასწაული, ყველაზე დიდი სიურპრიზი მათ შეუძლიათ, საკუთარ გულში აღმოაჩინონ".

საღამოს ბევრი ცნობილი ადამიანი ესწრებოდა.

## ბერძენი ფეხბურთელებიც გაიფიცნენ

**საბერძნეთის ფეხბურთის კავშირი თავისებურად გამოეხმაურა ახალ კანონს კლუბების საქმიანობის ფინანსური კონტროლის შესახებ, რომლის განხილვაც პარლამენტში დაიწყეს. პარასკევს ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ქვეყნის პირველობის ყველა მატჩი პროტესტის ნიშნად 23-ე ტურიდან გადატანილი იქნება სულ ცოტა ერთი კვირით. ამ სახით კლუბები ცდილობენ ამ პრობლემას მიაქციონ ბერძენი ამომრჩევლების მნიშვნელოვანი ნაწილის – ფეხბურთის გულშემატკივრების – ყურადღება, რომლებიც უკმაყოფილონი არიან მოვლენების ასეთი განვითარებით.**



„ჩვენ ახლა ნათლად დავინახეთ, რომ უპასუხისმგებლო პოლიტიკოსებმა ფეხბურთი აირჩიეს საცემ ბალიშად ან იოლ სამიზნედ, რათა ეჩვენებინათ მათი არარსებული ხელისუფლება და მძლავრი ხასიათი. მათ ასეთ მოქმედებებზე პასუხად, სუპერლიგამ გადაწყვიტა, გაფრთხილების სახით უარი ეთქვა 23-ე ტურის მატჩებზე 25 და 26 თებერვალს", – ნათქვამია ლიგის განცხადებაში.

შეიძლება ითქვას, რომ ათენის კლუბს „ოლიმპიაკოსს", შესაძლებლობა ეძლევა სათანადოდ მოემზადოს ევროპის ლიგაზე „რუბინთან" შესახვედრად.

## რინგიდან – პორნოფილმებში

**რინგზე დაბრუნდა რესტლინგის ყოფილი ვარსკვლავი ჩაინა, რომლის პიკი გასული საუკუნის 90-იან წლებზე მოდიოდა. მაგრამ ახლა ის სპორტული წარმატებებისთვის კი არა, პორნოფილმებში გადასაღებად დაბრუნდა. ახლახან დამთავრდა „უფროსებისთვის" ფილმის გადაღება, სადაც ჩაინა მთავარ როლს თამაშობს. ფილმს „რინგის დედოფალი" ჰქვია, მასში ბევრი ცნობილი მსახიობი მონაწილეობს.**



ჩაინამ რესტლერის კარიერა 2000-იან წლებში დამთავრდა, შემდეგ ქალთა კრივიც სცადა, შოუ-ბიზნესიც და მუსიკაც, მაგრამ ყველაზე ძალიან პორნოინდუსტრია მოეწონა. 2004 წელს ის პირველ პორნოში გადაიღეს, მას 2006 წელს XXX კატეგორიაში ყველაზე გასაყიდი ფილმის პრემია მიენიჭა.

◉ მადლიერება

## ექსპრომტი

ქველმოქმედ
ვასილ ბოლაშვილს!

*ბატონო ვასილ,
ვასილ ბატონო,
რამდენი ვინმე
შეგწყალებია, —
ღარიბ-ღატაკი
და უპატრონო.
მამაპაპური
კაცურკაცობა,
ვინა თქვა, თითქოს
დაკარგულია:
სამშობლო ვრცელი
ისევ გენახოს, —
როგორიც შენი
წმინდა გულია.*

ავთანდილ სიხარულიძე

◉ ეკოლოგია

## სახალხო დამცველს ხეების მოჭრის ფაქტებზე რეაგირებას სთხოვენ

**როგორც „ეკოლოგიური სამართლის ცენტრის“ იურისტმა ნიკოლოზ მჟავანაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ბოლო წლებში დედაქალაქში ეკოლოგიური მდგომარეობა დამძიმდა, რასაც ხელს სკვერებსა და პარკებში მწვანე საფარის განადგურებაც უწყობს.**



— სკვერებსა და პარკებში შენობების მშენებლობა კანონით იკრძალება, მაგრამ ამას არავინ აქცევს ყურადღებას. 2009 წლიდან დღემდე სკვერებსა და პარკებში 4000-ზე მეტი ხეა მოჭრილი, — განაცხადა მჟავანაძემ.

„ეკოლოგიური სამართლის ცენტრი“ სახალხო დამცველს მოუწოდებს, გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება და აიკრძალოს სკვერებში მშენებლობები და ხეების მოჭრა.

**ინტერპრესნიუსი**

ხსოვნა

## ეპოქის სცენოგრაფი

### გარდაიცვალა იოსებ სუმბათაშვილი



97 წლისა გარდაიცვალა სცენის პატრიარქი, უხუცესი თეატრალური მხატვარი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი იოსებ გიორგის ძე სუმბათაშვილი, რომელიც მთელი ცხოვრება რუსეთის საუკეთესო თეატრებში საუკეთესო რეჟისორებთან მუშაობდა. გაფორმებული აქვს უამრავი სპექტაკლი, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს „ივანე მრისხანის სიკვდილი“, „ანტონიოსი და კლეოპატრა“, „გამარჯვებულთა ლხინი“, „პავლე I“, „აურზაური არაფრის გამო“, „ფსკერზე“...

ვახტანგ, გიორგი ყოლბაიები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბადრი ჯაბუა**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს. დაკრძალვა 23 II, 17 სთ. ზუგდიდის რაიონი სოფ. ინგირში. მისამართი გურამიშვილის №19.

---



ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა წამყვანი სპეციალისტი, რენტგენოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი

**თემურ პირმისაშვილი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მედეა, ელიზბარ ლომინაძეები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ უახლოესი ნათესავი

**ამირან ყიფიანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

არკადი ჯორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ლეილა ოზაყმაშვილს მეუღლის

**ზაალ ეჯიბიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ნუგზარ ქავთარაძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება

**თენგიზ გიორგაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების 1967 წლის 726-ე ჯგუფის კურსდამთავრებულები და ახლო მეგობრები იუწყებიან თანაჯგუფელისა და მეგობრის, საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ღვაწლმოსილი მუშაკის

**გოლიათ ილიას ძე კეკელიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ახლობლებს და მეგობრებს.

---

„ჯანმრთელობის ცენტრის“ თანამშრომლები იუწყებიან

**მერაბ ხურცილავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს, მეუღლეს ნინო მახარაშვილს და შვილებს.

---

ნანა, ლამარა ჭიჭინაძეები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან სიძის, ასოცირებული პროფესორის

**მერაბ ხურცილავას**

გარდაცვალებას და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ მის შესანიშნავ მეუღლეს, მედიცინის დოქტორს ნინო მახარაშვილს და შვილებს ელენე და თამო ხურცილავებს. დაკრძალვა 23 II. თბილისში.

---

საქართველოს თეატრალური საზოგადოება იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი

**ეკატერინე ვაჩნაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

◉ ჩვენი კარაბადინი

**როგორც იქნა, ეს მოხდა. ვიღაცამ გაფანტა მთელი ნაგავი, შეწყვიტა სხვებისთვის თვალში ნაცრის შეყრა და შექმნა გასაოცარი ხელსაწყო... რომელიც მართლა მუშაობს! მას შეუძლია მიანიჭოს გამოჯანმრთელება დაავადებებით დასუსტებულ ადამიანს და დაუბრუნოს ჯანმრთელობის სიხარული. მესამე ათასწლეულის უნიკალური „ბიმაგი“ მზადაა, დაგეხმაროთ უკვე ამ წუთში და თქვენ დარჩებით გაოცებული ამ ხელსაწყოს ეფექტიანობით!**

**ჰიპერტონია, სტენოკარდია, ართროზები, ფილტვების დაავადებანი, ძილის მოშლილობა, კუჭნაწლავთა ტრაქტების დაავადებანი, შარდის გამოყოფისა და სასქესო სისტემის დაავადებანი, ნევროლოგიური მოშლილობანი — ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ დაავადებებისა, რომლებსაც კურნავს „ბიმაგი“.**

### ექიმი ყოველთვის შენთანაა...

წარმოიდგინეთ, რომ სადაც უნდა იმყოფებოდეთ: **სახლში, სამუშაოზე, ბაღში, შვილებთან თუ შვილიშვილებთან, — თქვენ თან გაქვთ ნამცეცა ექიმი. ნებისმიერ დროს შეგიძლიათ შეუკვეთოთ თქვენს მინი ექიმს სწორედ თქვენთვის აუცილებელი მკურნალობა.** და წარმოიდგინეთ, რომ ეს ექიმი ყოველთვის თავისუფალია თქვენთვის და არასოდეს გეპყრობათ უხეშად. ძნელად რომ შეხვდეთ ცხოვრებაში ასეთ მინიატიურულ ექიმს, მაგრამ არის რაღაც, რომელიც მას არ ჩამორჩება. გაიცანით პირველი ბიოპოლარული ხელსაწყო სანქტ-პეტერბურგის მეცნიერებისგან — „ბიმაგი“!

## ჯანმრთელობის ფენომენალური წყარო „ბიმაგი“!

### ახლა თქვენ შეგიძლიათ...

„ბიმაგი“ მართლაც ძლიერი და ეფექტიანი ხელსაწყოა, მიუხედავად კომპაქტური მოცულობისა. მაგალითად, „ბიმაგის“ გამოყენების რამდენიმე კვირის განმავლობაში თქვენ შეგიძლიათ ნორმაში მოიყვანოთ წნევა. მრავალი წლის სტაჟიან ჰიპერტონიკებსაც კი წნევა, როგორც წესი, ნორმაში მოსდით. თქვენ შეგიძლიათ სწრაფად გათავისუფლდეთ ტკივილებისგან სახსრებსა და ზურგში. თქვენ შეგიძლიათ თქვენი ძილი გახადოთ ღრმა და სამკურნალო. თქვენ შეგეძლებათ გათავისუფლდეთ ქრონიკული დაღლილობისგან.

**თქვენ შეგიძლიათ მაღალი ეფექტიანობით გამოიყენოთ „ბიმაგი“ ისეთი საშიში დაავადებების მკურნალობის დროს, როგორებიცაა:**

●საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავადებანი: ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი, სახსრების დაავადებანი, ართრიტი, ართროზი, ღრძობა;

●გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი: ჰიპერტონია, იშემია, სტენოკარდია, ვეგეტო-სისხლძარღვთა დისტონია, ვენების ვარიკოზული გაფართოება, თრომბოფლებიტი, გულის შეტევა, ინსულტისშემდგომი მდგომარეობა;

●ნევროლოგიური, ნერვულ-ფსიქიკური მოშლილობანი: მტკივნეული სინდრომები, მუდმივი თავის ტკივილები, სტრესული მდგომარეობა, ნევროზი, ძილის მოშლილობა, ქრონიკული დაღლილობა;

●კუჭ-ნაწლავთა ტრაქტის დაავადებანი: გასტრიტები, კოლიტები, წყლულოვანი, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებანი;

●შარდის გამოყოფისა და სასქესო სისტემის დაავადებანი: იმპოტენცია, პროსტატიტი, წინამდებარე ჯირკვლის პროსტატიტი;

**სხვა დაავადებანი: ანგინა, ქრონიკული ბრონქიტი, ალერგია და სხვა მრავალი დაავადება.**

როდესაც გაეცნობით „ბიმაგს“ და გაიგებთ, თუ რისი წყალობით მიიღწევა მკურნალობის მაღალი ეფექტიანობა, თქვენ, დარწმუნებული ვართ, გადაყრით ძველ და არაეფექტიან ხელსაწყოებს. როდესაც „ბიმაგს“ გამოიყენებთ, თქვენ იგრძნობთ, ალბათ, პირველად, თუ რა არის ნამდვილი ხელსაწყო გამოჯანმრთელებისთვის. მაგრამ ყველაზე დიდი სარგებელი შეიძლება გახდეს ფულის გიგანტური თანხა, რასაც ახლა ხარჯავთ აბებზე, რომლებიც არცთუ ისე უვნებელია ჯანმრთელობისთვის. წამლებისა და უცნობი წარმომავლობის „სასწაულებრივი“ დამატებების უგუნური მიღება შეიძლება დაყოვნებითი მოქმედების ბომბი აღმოჩნდეს. სრულიად სხვა საქმეა „ბიმაგი“ — არანაირი ქიმია, არანაირი დამატებითი სახსრები. აბსოლუტურად სამეცნიერო ხელსაწყოა, რომელიც იმუშავებს თქვენთვის მინიმუმ 5 წელი, მაშასადამე, დაგიჯდებათ ერთ დღეში გამოყენებით რაღაც გროშები. დაგვეთანხმეთ, ეს არ არის პატარა საქმე!

### ფენომენი „ბიმაგი“!

**შეიძლება, თქვენ უკვე გსმენიათ სამკურნალო მაგნიტური ველების შესახებ, რომლებიც აუმჯობესებენ სისხლსადენი სისტემისა და კაპილარების მდგომარეობას. და არიან სისხლძარღვების ქოლესტერინის დანალექებისაგან ძლიერი გამწმენდები. იქნებ თქვენ სარგებლობდით კიდეც მაგნიტოთერაპიის ზოგიერთი ხელსაწყოთი.** მაგრამ ყოველთვის იყავით კმაყოფილი ასეთი ხელსაწყოების მოქმედებით? ვფიქრობთ, ალბათ, ყოველთვის არა. საქმე ისაა, რომ ადრინდელ ხელსაწყოებს შეიძლება ჰქონდათ გარკვეული ეფექტი, მაგრამ არასოდეს ჰქონდათ ხარისხი, რისი წყალობითაც „ბიმაგი“, ფანტასტიურად ზრდის სამკურნალო ეფექტს. „ბიმაგს“ აქვს ბიპოლარული (ორნაკადიანი) დიფერენციული ზემოქმედების მაგნიტური ინდუქტორი, რაც სხვა აპარატებს არ გააჩნიათ. აქედან არის „ბიმაგის“ მაღალი ეფექტიანობა, დადასტურებული სამეცნიერო გამოკვლევებითა და პაციენტების ათასობით კმაყოფილებითი გამოხმაურებით: „ბიმაგის“ დამუშავება სანქტ-პეტერბურგის მეცნიერებისა და მედიკოსების ნამდვილი სენსაცია იყო.

ნუ გაუშვებთ ხელიდან შანსს უთხრათ დაავადებებს — სდექ! თუ ავადმყოფობითა და აბებით დაიღალეთ, უნდა გასინჯოთ მოქმედებაში უნიკალური „ბიმაგი“. სხვა ხელსაწყოებმა თუ გაგაწბილათ, თქვენ ეს უნდა გასინჯოთ. თუ ადგილზე დარჩებით და დაიწყებთ ლოდინს, როდის გადაწყვეტენ თქვენს პრობლემებს ავადმყოფობასთან დაკავშირებით სხვები, კიდევ უფრო ცუდად გახდებით. ამ ხელსაწყოს გაცნობა საშუალებას მოგცემთ თქვათ: „მიხარია, რომ „ბიმაგი“ შევიძინე. ჯანმრთელობას გისურვებთ!“

* * *

**„ბიმაგი“ — სანქტ-პეტერბურგის მეცნიერთა გასაოცარი ხელსაწყოა. მეტად კომპაქტური და მსუბუქი, თანაც ამ დროს „ბიმაგი“ შეიძლება გახდეს საუცხოო თანაშემწე ისეთი საშინელი დაავადებების მკურნალობის დროს, როგორებიცაა ჰიპერტონია და სტენოკარდია, ართრიტები და ართროზები, ოსტეოქონდროზი და ბევრი სხვა. შესანიშნავია, როდესაც შენს ცხოვრებაში ჩნდება საიმედო მოკავშირე სნეულებებთან ბრძოლაში.**

**ჩემო ძვირფასებო, გისურვებთ ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას! მარად თქვენი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ლევ დუროვი.**

**„სულ ორი კვირაა, რაც ვიყენებ „ბიმაგს“ — უზრალოდ გაოგნებული ვარ მისი შედეგებით. საოცარი და შესანიშნავი ხელსაწყოა! მთავარი კი ისაა, რომ ის მუდამ ჩემთანაა. აი, მართლაც ნამდვილი სასწაული, რასაც ასეთი „ნამცეცასგან“ არც ველოდი“.**

შეკვეთისთვის ტელეფონით:
ქ. მოსკოვი.
8 (937ძ 873-52-55 (8-დან 20 საათამდეძ.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## დაიჯესტი

### მომავლის ტაქსი?

**მაყუჩი ვაზნა, იარაღის თვითდამტენი ბუდე და... მფრინავი ტაქსი-თეფში გამოიგონეს ჩელიაბინსკის თვითნასწავლმა გამომგონებლებმა ძმებმა კოვალჩუკებმა.**

**პირველი გამოგონება თვითნასწავლ ძმებში ერთ-ერთმა, ვალერიმ, 2000 წელს შექმნა, რის შესახებ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს შეატყობინა. ჩინოსნებმა ნახაზი დართულ წერილთან ერთად ერთმანეთთან გაგზავნა-გამოგზავნაში დაკარგეს. ვალერი კოვალჩუკს თავისი გამოგონება დაენანა, ამიტომ სათანადო წერილები რამდენიმე უცხოურ საელჩოს დაუგზავნა. კუვეიტის სელჩოს მისამართზე გაგზავნილი წერილი რუსეთის სპეცსამსახურებს ჩაუვარდათ ხელში და ვალერი კოვალჩუკის მიმართ „უცხოეთის სახელმწიფოსთვის სამხედრო ტექნოლოგიების გადაცემის" მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. მოკვლევა ძალიან დიდი ხნის მანძილზე გრძელდებოდა, ვიდრე იმ დასკვნამდე არ მივიდა, რომ თვითნასწავლი გამომგონებლები კოვალჩუკები, რომელთაგან ვალერი – მძღოლი, ოსტატი მექანიკოსი სერგეი და ეკონომისტ-ბუღალტერი ალექსანდრე ბევრი ვერაფერი სამხედრო ტექნოლოგიის შემქმნელები იქნებოდნენ.**



მაგრამ მას შემდეგ ძმებმა კოვალჩუკებმა თავისი მაინც არ დაიშალეს. მათ მიღწევათა შორისაა მოწყობილობა, რომელიც საანგარიშო მანქანის ლენტს დახევისგან იცავს, უპილოტო მოძრავი ობიექტი, რომელიც სახურავებიდან ლოლოების ჩამოსაგდებადაა განკუთვნილი და რომლის მოქმედების პრინციპს ძმები თვალისჩინივით უფრთხილდებიან, რადგან სათანადო პატენტის აღებას აპირებენ. კიდევ ერთი სტრატეგიული გამოგონება, იარაღის თვითდამტენი ბუდე, მათ იმთავითვე საქმის ხალხს აჩვენეს. ისე, კაცმა რომ თქვას, დიდად სასარგებლო რამ გამოდგა ეს ნივთი: ხელის ერთი მოძრაობით კაცი იარაღს ბუდიდან უკვე შემართულს იღებს. ამ ბუდეს დღესდღეობით ინკასატორები, სპეცსამსახურთა წარმომადგენლები, სხვა სამართალდამცველები იყენებენ.

უკვე რამდენიმე წელია ძმები კოვალჩუკები საქალაქო ტრანსპორტის ახალი სახეობის... მფრინავი თეფშის შექმნაზე მუშაობენ – დაახლოებით ისეთის, რეჟისორ ლუკ ბესონის ცნობილ კინოფილმ „მეხუთე ელემენტში" რომაა, სადაც მთავარ როლებს ბრიუს უილისი და მილა იოვოვიჩი ასრულებენ. ჯერჯერობით კი თეფში მუყაოსა და კერამიკის ფილებისგან დამზადებულ მეტრანახევრიან მაკეტს წარმოადგენს. ძმები ირწმუნებიან, რომ თეფში ჰაერში არა ვერტმფრენივით ხრახნის და არა თვითმფრინავივით ძრავის მეშვეობით დაფრინავს, არამედ მას პრინციპულად სხვა რამ ამოძრავებს.

– ჩვენ ზოგიერთი აეროდინამიკური პარამეტრი ხელახლა გადავიანგარიშეთ, შედეგები უნივერსიტეტის აეროკოსმიურ ფაკულტეტზე მივიტანეთ, – ამბობს ვალერი კოვალჩუკი. – მეცნიერებმა ამ საქმეში მხარი დიდი ხალისით აგვიბეს.

– თუ პროექტი განხორციელდება, მეგაპოლისები საცობებისგან და გამონაბოლქვი გაზებისგან გათავისუფლდებიან, – განაგრძობს სერგეი კოვალჩუკი. – თეფში ხომ ელექტროძრავით იმოძრავებს, რომლის მოქმედების პრინციპი ფართო საზოგადოებისთვის ჯერჯერობით უცნობია...

### ბრინჯაოს კარლა

**საფრანგეთის პირველ ქალბატონს ბრინჯაოში გამოსახავენ – ქანდაკება... მეფრინველეობის ფაბრიკის მუშა ქალის სახეს წარმოადგენს!**

**ვიდრე კარლა ბრუნის მეუღლე პრეზიდენტობის მეორე ვადით ასარჩევად ბრძოლაში ჩასაბმელად ემზადება, მისმა თანამებრძოლებმა პირველი ქალბატონის სახის ბრინჯაოში უკვდავყოფა გადაწყვიტეს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილი მოდელისა და მომღერლისთვის მეფრინველეობის ფაბრიკის მუშის სახე ერთობ უჩვეულოა.**

ქალაქ ნოზან-სიურ-მარნის მერის ჟაკ მარტენის თქმით, სადაც ქანდაკების დადგმას აპირებენ, მათ მხოლოდ კარლა ბრუნი-სარკოზის სახის უკვდავყოფა სურთ. მადამ კარლას დახვეწილი სახე კი ნებისმიერ უბრალო „პროლეტარულ სახეზე" სასიამოვნო საცქერი იქნება. თუმცა უნდა ითქვას, პარიზის ამ გარეუბანში მცხოვრებმა იტალიელებმა თავიანთი თანამემამულის უბრალო მუშა ქალის ქანდაკებაში უკვდავყოფის იდეა მაინცდამაინც დიდი აღფრთოვანებით არ მიიღეს.



– ეს იდეა მაინცდამაინც არ მომწონს: კარლა ბრუნის სირაქლემას ბუმბული უფრო პოდიუმზე უნახავს, ვიდრე ფაბრიკაში, – ამბობს ოპოზიციონერი სოციალისტი უილიამ ჰები.

ძეგლის დადგმის სხვა მოწინააღმდეგეები კი მისმა ფასმა აალელვა – საქმე ის არის, რომ ქანდაკება 80 ათასი ევრო დაჯდება, საიდანაც ნახევარს ქალაქის ბიუჯეტიდან აიღებენ. ოპოზიციონერები ამბობენ, რომ კრიზისის პირობებში და ნიკოლა სარკოზის დაბალი რეიტინგის გათვალისწინებით ეს მეტად სარისკო ნაბიჯია.

ამასობაში კარლა ბრუნი-სარკოზის პრეს-მდივანმა განაცხადა, რომ ამ ნაბიჯს „პიროვნების კულტთან" საერთო არაფერი აქვს: „კარლა არც ჟანა დ'არკია, არც გენერალი დე გოლი, იგი ყოფილი მოდელია და ხელოვნების სფეროდან ისედაც უამრავ შეთავაზებას იღებს".

თავად მადამ სარკოზი უკვე შეხვდა მოქანდაკე ელისაბედ კანოს, რომლის ყველაზე ცნობილი ნამუშევარია ლიონში რომის პაპის იოანე პავლე II უზარმაზარი ქანდაკება და თავისი სახის მომავალ ქანდაკებაში გამოსახვის უფლება მისცა. ბრინჯაოს მადამ სარკოზის ქანდაკებას მაისში გახსნიან – ეს, ფაქტობრივად, არჩევნების ჩატარებისთანავე მოხდება, რა დროსაც საფრანგეთის პრეზიდენტს აირჩევენ. სარკოზი იქნება ეს თუ ვინმე სხვა, მაისში გვეცოდინება.

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● მრავალი სისხლიანი ამბავი, მათ შორის ოიდიპოსისა და მისი ქალიშვილის ანტიგონესი, შვიდეულისა და ეპიგონების ლაშქრობები... – ყველაფერი თებეში მოხდა. ბერძნების აზრით, იმიტომ, რომ ამ ქალაქის მკვიდრთ არ ჰქონდათ იუმორის გრძნობა.

● სპარტაში მეფის სიკვდილის შემდეგ 10 დღის განმავლობაში იკეტებოდა ორი დაწესებულება: სასამართლო და ბაზარი. როდესაც ეს გაიგო სპარსელთა მეფე ქსერქსემ, განაცხადა, რომ ვერ აუკრძალავს ხალხს ორ მათთვის საყვარელ და სასიამოვნო საქმიანობას, – ეს იყო სასამართლო და ბაზარი.

● მარკო პოლოს ჩანაწერებში აღნიშნულია, რომ ჩინეთში ფაიფურს ამზადებდნენ დაფხვნილი ნიჟარისაგან, ხოლო თანამედროვე მონაცემებით, მას ძირითადად დაფხვნილი ძვლებისგან ამზადებენ.

● მაიას ტომი სხვადასხვა იარაღსა და მექანიზმს იყენებდა და შესანიშნავი გზები გაჰყავდათ. ქალაქ კობას ნანგრევებში იპოვეს სატკეპნი, რაც უარყოფს საყოველთაოდ დამკვიდრებულ აზრს იმის შესახებ, რომ მათ არ ჰქონდათ – ბორბალი.

● ცნობილი ილუზიონისტი დევიდ კოპერფილდი გავიდა ჩინეთის დიდ კედელში, გააქრო „თავისუფლების ქანდაკება", ახლა კი პიზის კოშკის გასწორებას აპირებს.

● კარაქი პირველად სკვითებმა შედღვიბეს, ოღონდ ამისათვის ცხენის რძეს იყენებდნენ.

● ერთხელ სასულე ორკესტრის კონცერტის ჩაშლა ერთ-ერთი ციტრუსის გამოყენებით მოახერხეს, რომელიც წინა რიგებში მჯდომ ბავშვს ეჭირა ხელში, ამიტომ ჩასაბერ ინსტრუმენტებზე დამკვრელებს ნერწყვი მოუვიდათ და ვერ დაუკრეს მელოდია.

● დამასკოში ეს მცენარე ყველა ოჯახშია, მდიდრებს მთელი ბაღები აქვთ გაშენებული, ღარიბებს კი კონსერვის ქილაში მაინც აქვთ გახარებული. ამ მცენარის სახელს უკავშირდებოდა სირიის ძველი სახელწოდება – სურისტონი. თითქმის ყველა ერში შეხვდებით ადამიანს, რომელსაც ამ მცენარის სახელი ჰქვია, ის იყო პოეტების ხოტბის საგანი. დღესაც მისი ზეთი ძვირად ფასობს და ეს არის ვარდი.

● სამხრეთ ლიბანის საპორტო ქალაქი სიდონი ძველად ორი რამით იყო ცნობილი: 1. გადმოცემით, იქ პირველად შექმნეს მინა და განვითარდა მინის წარმოება. მრავლად იყვნენ მინამბერებიც; 2. აქ არის გატეხილი ნიჟარების 50 მ სიმაღლისა და 100 მ სიგრძის ბორცვი. ამ ნიჟარებისაგან ამზადებდნენ წითელ საღებავს და თავდაპირველად მისი გამოყენების უფლება მხოლოდ მეფეებს ჰქონდათ, შემდგომში კი იცვლებოდა ოქროზე პროპორციით 1:20.

● ქორწინებიდან პირველი ათი წლის განმავლობაში სპარტელებს აკრძალული ჰქონდათ, დღის სინათლეზე ენახათ ცოლი, რადგან მიაჩნდათ, რომ ეს უფრო აძლიერებდა ურთიერთლტოლვას.

მოგვაწოდა
**ტიტე კოპალეიშვილმა**

**განცხადება**

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).
ფასი შეთანხმებით.
ტ. 593 537-988, 551 480-096.

## კადრი



## ანეკდოტები

– ექიმო, მე ბავშვის გაჩენა მსურს, ჩემს ქმარს კი არ უნდა! რა ვქნა?
– რა უნდა ქნათ და, გააჩინეთ! ის კიდევ, თუ არ სურს, ნუ გააჩენს...

* * *

ცოლი შედის აბაზანაში და ხედავს, რომ ქმარი სასწორზე შემდგარა და რაც შეიძლება ცდილობს მუცლის შესუნთქვას.
– ფიქრობ, რომ ეს დაგეხმარება?
– რა თქმა უნდა. სხვაგვარად ციფრებს როგორ დავინახავ?

* * *

ღამეა. ცოლ-ქმარი საწოლში წევს. ვერაფრით ვერ იძინებენ: კედელს მიღმა მეზობლის ბავშვი ტირილით სკდება.
– ისევ გინდა, ბავშვი ვიყოლიოთ? – ეკითხება ცოლი ქმარს.
– ჰო, მინდა, რომ მაგ მეზობელს სამაგიერო გადავუხადო.



* * *

ცოლმა ერთხელაც გადაიანგარიშა ოჯახის ბიუჯეტი და ქმარს ეუბნება:
– ძვირფასო, ფული თითქმის გაგვითავდა. ასე რომ, უნდა გადაეჩვიო სადილისა და ვახშმის წინ თითო ჭიქის გადაკვრას, მე კი, ჩემდათავად, ვეცდები, მოწევას გადავაჩვიო.

* * *

– ძალიან არ მომწონს თქვენი ხველა.
– რა ვქნა, ექიმო, სხვა არა მაქვს.

* * *

– გაიგეთ? ხვალ ჩრდილში 42 გრადუსი სიცხე იქნებაო! რა გვეშველება?
– თქვენც ვინ გაძალებთ ჩრდილში დგომას?

* * *

თავისთავად, ჩანგლის ჩამოვარდნა დიდი პრობლემა არ არის. მაგრამ ცუდია, თუ ის ვერცხლისაა. უარესია, თუ სტუმრად ხართ. და საერთოდ ცუდია, თუ იგი ჯიბიდან ამოგივარდებათ.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24